619
1974

# დროშა

ივნისი
№ 6
1974 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა




სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საბჭოთა დემოკრატიის დიდებული ზეიმი იყო. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მილიონობით მშრომელმა ერთსულოვნად მისცა ხმა ხალხის რჩეულ შვილებს — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებს, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს

თავიანთ დეპუტატებს მშრომელებმა დააკისრეს მაღალი მისია — წარმოადგენდნენ ხალხის ინტერესებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, წყვეტდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს

არჩევნებმა, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მონოლითურობა, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

ეროსტრატეს ხშირად ვიხსენებთ, აი, იმ უბოროტეს ადამიანს, ეფესის მკვიდრს, რომელმაც არტემიდას ტაძარი მხოლოდ იმიტომ დაწვა, რომ თავისი სახელი უკვდავეყო. მეორე ეფესელი — უბრალო მწყემსი ბიჭი პიქსოდარი კი იშვიათად გვახსენდება. პიქსოდარი ჰეროსტრატეზე გაცილებით ადრე ცხოვრობდა და ალალი, სწორედ რომ სამაგალითო თავდავიწყებით უყვარდა თავისი მშობლიური ქალაქი.

ერთხელ პიქსოდარი ეფესის ახლომახლო მთებში ცხვარს აძოვებდა. ორი ყოჩი ერთმანეთს დაეჭიდა. გამოქანებული მეტოქეები ერთმანეთს ასცდნენ და ერთი ყოჩი რქებით დაეტაკა მთას. კლდე ხავსით იყო დაფარული. ხავსი გაიძენძა და მწვანედ მოხასხასე ბალახზე რაღაც მოელვარე ნამსხვრევები გადმოცვივდა.

მწყემსი ბიჭი მაშინვე ყველაფერს მიხვდა. მოელვარე ნამსხვრევებს ხელი დასტაცა, ცხვრები უპატრონოდ მიატოვა და გახარებული გაიქცა ქალაქისაკენ.

ეფესში მაშინ არტემიდას ტაძარს აშენებდნენ — ძველი სამყაროს ერთ-ერთ საოცრებათაგანს. საშენი მასალა ჭირდა. ახლომახლო არსად არ მოიპო-

(გაგრძელება მეორე გვერდზე)




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (450) ივნისი. 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1974



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი.

სარედაქციო კოლეგია: გ. გახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, პ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სუფიაშვილი.
კორექტორი ტ. თაბორიძე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ნადეჟდა ომერიძე.



ინჟინერი ლევან ჯაში (შუაში) მშენებლებს აცნობს ახალი სახლის პროექტს.



სამუშაოთა მწარმოებელი გურამ შალიკაშვილი.

ვებოდა შესაფერი ქვა. პიქსოდარის ნაპოვნი მოელვარე ნამსხვრევები საუკეთესო მარმარილო იყო.

ეფესი ზეიმობდა. მწყემსმა ბიჭმა საშენი მასალის უმდიდრესი საბადო აღმოაჩინა. პიქსოდარი ძვირფას ტანსაცმელში გამოაწყვეს და კეთილი მაცნე უწოდეს.

ჩვენი ნარკვევი სწორედ იმ ადამიანებს გვინდა მივუძღვნათ, პიქსოდარის დარად რომ უყვართ თავიანთი ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს პროფესია ადამიანებს, ალბათ, გაჩენის დღიდანვე თან დაჰყვათ. ამ პროფესიის ადამიანებს გაჰყავთ გზები და არხები, აგებენ ხიდებს, სახეს უცვლიან დედამიწას. მათი ხელით შენდება შენობები, რომლებშიც შემდეგ მყუდრო და საამო ბინას იდებენ უცხო ადამიანები.

მიწას გათხრიან, ჩაჭყრიან საძირკველს, ამოიყვანენ კედლებს, სახურავს გადახურავენ და მერე ნამუშევარ-ნამოღვაწარს ემშვიდობებიან. სახლი კი დგას როგორც უტყუარი მოწმე ამშენებლის ოსტატობისა, როგორც ანარეკლი მისი კეთილსინდისიერებისა. რამდენიმე თაობა იზრდება ამ სახლში და მის ამშენებელს ბევრი შემფასებელი ჰყავს...

— ახლა უფლება გვაქვს პირნათლად შევხედოთ ჩვენს შემფასებლებს, — დინჯად ამბობს ანზორ იმედაძე, — საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ, მშენებლები, უკანასკნელ წლებში მოვიკოჭლებდით. ბოლო შვიდი წლის მანძილზე მშენებლებმა მარტო თბილისს რვაასი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი დავაკელით. შარშან ვადაზე ადრე შევასრულეთ გეგმა. მარტო ჩვენმა ტრესტმა გეგმას თვრამეტი ათასი კვადრატული მეტრით გადააჭარბა და სულ 265 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადასცა თბილისელებს.

ტელეფონმა საუბარი შეგვაწყვეტინა. ანზორ იმედაძემ ყურმილი აიღო, ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა. მისთვის თავისუფალი დროის გამონახვა არც ისე ადვილია, იგი „მთავართბილმშენის“ მეთოთხმეტე ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანია. ეს მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციაა, რომლის წილად მოდის რესპუბლიკაში შარშან საექსპლოატაციოდ გადაცემული მთელი საცხოვრებელი ფართობის მეოთხედი.

* * *

გლდანის მასივში მეთოთხმეტე ტრესტის მუშები ორმოცდამეერთე კორპუსს აშენებენ. ხრეშით მოფენილ ლიანდაგზე ამწე მოძრაობს. რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ჰაერშია ჩამოკიდებული. განუწყვეტლივ გაისმის „ვირა“ და „მაინა“. მემონტაჟე ვაჟა ბერიძე ფილების წყობას ამოწმებს. ომარ ბიწაძე და რაისა ბაბურინა ბეტონს ასხამენ.

— შალიკო! ფეხი ტოლზე გაიწმინდე, ტოლზე! — ეს თხოვნა კი არა, ბრძანებაა, — ისე არ შემოხვიდე.

შუა ტანის ვაჟკაცი პატარა ჯიხურთან ჩერდება და სიცილით ემორჩილება ბრძანებას.

— სისუფთავეა ყველგან საჭირო, აბა! — გაისმის ჯიხურიდან ქალის ხმა.

სახელდახელოდ აგებულ ფარდულს ხის ჯიხური მიჰკვრია. ამ ერთი ციცქნა „ნაგებობაში“ უჩვეულო სისუფთავეა. იატაკი კრიალებს. თაროზე წყლით სავსე ჭურჭელია. იქვე ქაღალდში გახვეული პურის და ძეხვის ნაჭრები აწყვია. ლურსმანზე ქალის პალტო და ჩანთაა ჩამოკიდებული, ეტყობა, მათი პატრონი აქედან მაღაზიებსა და ბაზარში აპირებს გავლას. შესასვლელთან ტოლის ნაჭერია დაგებული.

სამუშაოთა მწარმოებელი ლევან ჯაში მიხსნის:

— ასეთია ჩვენი ნადეჟდა ომერიძე, ყველგან სისუფთავეს იცავს.

როგორც გავიგეთ, ნადეჟდა სულ ახალგაზრდა მოსულა მშენებლობაზე. პირველად დამხმარე მუშად მუშაობდა. ასეა, მშენებლობაზე ჯერ შრომითი ჩვევების გამომუშავებაა საჭირო. უნდა ისწავლო ნიჩბის მოქნევა, ცემენტისა და ქვიშის არევა, ბეტონის მომზადება...

ძალიან არ გასჭირვებია. ფიზიკურ შრომას ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული. სამტრედიაში, სოფელ ბაშში, სადაც ნადეჟდამ ბავშვობა გაატარა, დებთან ერთად ხშირად უხდებოდა საკარმიდამო ნაკვეთში წამუშავება. თოხნიდა სიმინდს, მარგლიდა, ბოსტანში დაფუსფუსებდა... აქ მაინც სხვა იყო: მშენებლის პროფესია დიდ დატვირთვას, უნარს, სიზუსტესა და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობას საჭიროებდა.

უთენია დგებოდა ნადეჟდა. ლოგინად ჩავარდნილ მეუღლეს მიხედვა სჭირდებოდა, სამი ვაჟიშვილი სკოლაში წასასვლელად უნდა გაემზადებინა, ოჯახში საქმეს რა გამოლევს, სადილის გარდა სხვა ათასი წვრილმანის გაკეთებაც უნდა მოესწრო.

მერე მუშაობა იწყებოდა. მუშაობდა თავდადებით, პატიოსნად, საქმის სიყვარულით, გატაცებით. ფილარმონიის დიდებული ნაგებობა ხომ მოგწონთ? ნადეჟდა ომერიძეს ნახელავიც ატყვია მას. სპორტის სასახლის მშენებლობაშიც იღებდა მონაწილეობას, ქორწინების სასახლის მშენებლობაშიც. ტელეანძის საძირკვლის ჩაყრაშიც დაუღვრია ოფლი...

პირველი ჯილდო 1952 წელს მიიღო. თავდადებული შრომისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი დაიმსახურა. მერე სახელმა და დიდებამ თვითონვე მონახა ჩუმი, მაგრამ თავდადებული მშენებელი. ნადეჟდა ომერიძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

— სად მუშაობენ ჩემი ბიჭები? — შეკითხვას გვიმეორებს ნადეუდა და ეღიმება, — აბა სად უნდა მუშაობდნენ, სამივე მშენებლები არიან. დედის კვალზე წავიდნენ: შოთა და გიორგი მემონტაჟეობას დაეუფლენ, ვალიკო შემლესავია. ისე გალესავს კედელს, წყალი არ გაუვა.

ბარაქალა თქვენ, მშენებელთა ოჯახო!

* * *

ნადეუდა ომერიძე კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრია. ბრიგადას თენგიზ შალიბაშვილი ხელმძღვანელობს.

თენგიზი სიტყვაძუნწი კაცია. საკუთარ თავზე ვერაფერს ათქმევინებთ, მაგრამ ჩამოუგდეთ სიტყვა მეგობრებზე, მშენებლობაზე და მაშინვე გეტყვით, რაც გულში უდევს.

რა გაეწყობა, ჩვენც მშენებლობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ შეიცვალა მშენებლობაზე, — ჩაფიქრებით გვეუბნება ბრიგადირი, — გეგმების შესრულებაც სწორედ ამან განაპირობა. ახლა ნაკადური მეთოდით ვმუშაობთ. ერთდროულად ასაშენებელი ობიექტების რიცხვი შემცირდა. კონცენტრირებამ შრომის წარმოება და კულტურა აამაღლა. საცხოვრებელ სახლებს ახლა ზუსტად დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ვაბარებთ. დღე ისე არ გავა, ობიექტზე ტრესტის ან სამმართველოს ხელმძღვანელები: გივი კვიჟიძე, ვახტანგ ცინცაძე, ანზორ იმედაძე, ავთანდილ სილაგაძე ან ნოშრევან თავართქილაძე რომ არ ამოვიდნენ. გვამხნევებენ, ხელს გვიწყობენ, გვარიგებენ. ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენი განწყობილებაც შეცვალა. პასუხისმგებლობა გაიზარდა. ამაგს რომ ღირსეულად გვიფასებენ, მუშაობაც სახალისო გახდა.

თენგიზ შალიბაშვილის სიტყვები რომ ყველა მუშის სათქმელი და ნააზრევი იყო, ამაში ჩვენ მალევე დავრწმუნდით.



მშენებლები.

* * *

ინჟინერი გურამ შალიკაშვილი კოშკურა ამწესთან გაჩერდა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და გასძახა:

— ქუჩუკი! — მეორე სართულის ფანჯარაში მომცრო ტანის ცისფერთვალება კაცი გამოჩნდა. — იცოდე, თქვენი იმედი მაქვს... იატაკს, კედლებს, ჭერს მიხედეთ! ტრესტში მივდივარ...

— ჩვენი იმედი გქონდეს! — ქუჩუკი ფანჯარას მოსცილდა.

მაღლა მემონტაჟეები მუშაობენ. დიდი გამოცდილება აქვთ მებეტონე ნიკოლოზ ტაბატაძეს, ელექტროშემდუღებელ შიო პატარქალაშვილს, მემონტაჟე სურენ ადამიანს და სხვებს. მათ გვერდით მუშაობს ქუჩუკი ინასარიძე.

ქუჩუკის პაპა გლახუა ინასარიძეც მშენებელი იყო. მრავალი სახლი აუშენებია ჩუღურეთში, კუკიაზე, სოლოლაკში... მერე მუხრანის ხიდის მშენებლობაშიც მიუღია მონაწილეობა. კამეჩებშებმული ურმით ეზიდებოდა თურმე ქვას და ქვიშას.

ქუჩუკი ახლა გლდანში ცხრასართულიან სახლებს აშენებს. ადრე სპორტსაც მისდევდა. სამბოსტთა შორის ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიიღო სპორტის ოსტატის წოდება. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი და საკავშირო პირველობების პრიზიორია.

მალე მათ ობიექტზე მომპირკეთებლები დაიწყებენ მუშაობას. გურამ შალიკაშვილი წინასწარ იჭერს თადარიგს.

გურამი მშენებლობაზე კომკავშირული საგზურით მოვიდა. მუშაობდა დამხმარე მუშად, დურგლად, მეპარკეტედ. თან სწავლობდა. ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა ინჟინერია. ინჟინერია მაგრამ, თუ საჭირო გახდა, მეპარკეტე გურამ ჭალიაშვილსაც მიეხმარება და მეკომპრესორე შალვა არღვლიანსაც...

მშენებლობაზე გურამთან ერთად მისი ძმები ვანო და თენგიზ შალიკაშვილებიც მუშაობენ.

მათი ბრიგადის წევრია რუსუდან დიანაშვილი. ძმებსა და ამ თავმდაბალ ქალს ნათესაური ურთიერთობა არ აკავშირებთ: მათ თბილისის ახალმშენებლობებზე გაიცნეს ერთმანეთი და ახლა ბიჭებს რუსუდანი საკუთარ დასავით უყვართ.

რუსუდან დიანაშვილი გლდანის მასივის ერთ-ერთი პირველი მშენებელია. სართულიდან სართულზე გადააქვს ფილები და პარკეტი. მერე მლესავებს გადახედავს და სწრაფად გადმოსცლის ჯალამბრიდან გაჯს. რუსუდანის სამუშაო უბრალოა, მაგრამ ძალზე აუცილებელი. მას უყვარს იმ დღის გახსენება, როცა პირველად მიაწოდა წყალი კალატოზს. შრომაში გაიარა წლებმა. რუსუდანს ეამაყება თავისი პროფესია, მით უმეტეს ახლა, როდესაც მუშაობა ასე სახალისო გახდა...

თანამედროვე პირობებში მოპირკეთების სამუშაოები ფრიად საპასუხისმგებლოა. მომპირკეთებლების მისამართით ხშირად გაისმის მობინადრეთა საყვედურები.

— ნამდვილად მართალია, — ამბობს გურამი, — ამაში მარტო ჩვენ არა ვართ დამნაშავე. მიზეზი ბევრია, ძირითადი კი ორია: მასალების არარიტმული მომარაგება და, ხშირ შემთხვევაში, მათი უხარისხობა... მუშაობაზე ცუდ გავლენას ახდენს ჩვენსა და „სანტექმონტაჟის“ თანამშრომლებს შორის შეუთანხმებლობა. მემონტაჟეების შემდეგ, გრაფიკის მიხედვით, შენობაში სანტექნიკოსები უნდა შევიდნენ ე. წ. „შავი სამუშაოების“ ჩასატარებლად. შემდეგ მოპირკეთება იწყება. ამის მერე კვლავ „სანტექმონტაჟის“ და „ელექტრომონტაჟის“ თანამშრომლები ბინებში უკვე მოწყობილობებსა და ხელსაწყოებს აყენებენ. ამ დროს ზიანდება კედლები, იატაკი... ჩემი აზრით, ამას ხელს უწყობს ის, რომ ეს სამი ორგანიზაცია ერთად არ არის გაერთიანებული. თუ მოხერხდება მათი ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანება, მაშინ მრავალი დაბრკოლება მოისპობა.

ქუჩუკი ინასარიძესაც თავისი მოსაზრებები აქვს:

— ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა მისასვლელი გზების წინასწარი გაყვანა. ამის გამო უამრავი დრო იკარგება, ცუდ ამინდში სიარული ძნელდება, მექანიზაციის საქმეც ფერხდება. მშენებლები იძულებულნი ხდებიან თვითონ მოაწყონ გზები ნაჩქარევად, დაყარონ ბალასტი. შემდეგ ამ ადგილების გამწვანება და კეთილმოწყობა რთულდება.

— ესეც გამოსწორდება, — ამბობს ომარ ფუტკარაძე, სამუშაოთა მწარმოებელი, — გეგმის შესრულება ვისწავლეთ, მაგასაც ვისწავლით.

— წლევანდელი წელი ხარისხის წელია. ვისწავლით, ყველაფერს ვისწავლით! — კვერს უკრავენ ომარს მუშები.

ტრესტის შენობაში კვირაში ერთხელ სამშენებლო ორგანიზაციის მოწინავენი იკრიბებიან და განვლილი შვიდდღიურის შედეგებს აჯამებენ.

არის დავა, შეხლა-შემოხლა, ახალი წინადადებებისა და მოსაზრებების გარჩევა.

სხვანაირად არც შეიძლება. თბილისელ მშრომელთა ყველა რგოლი ახლა რიტმულად ამოქმედდა. მშენებლებმაც თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ საერთო საქმეში. გარდატეხა უკვე დაიწყო. პირველი გამარჯვებები მოპოვებულია.

და ჩვენ უნებურად გვახსენდება გალაკტიონის სიტყვები:

„დგანან მშენებლები, როგორც ქვა-პიტალო,
არის ანგარიში მაღალ სართულებით“...

კარლო არსენაშვილი

# ახალშენელთა დიდი გაზაფხული

სოლომონ დემურხანაშვილი



კომკავშირული რგოლის წევრები: ნოდარ მამულაძე (მარცხნივ) და თემურ ვერძაძე.

როგორც ყველა სოფელს, მასაც თავისი ისტორია აქვს.

ამ სოფელში შემთხვევით გავლილო მგზავრო, ვინც არ უნდა იყო შენ, უცხოელი თუ ქართველი, გადახედავ დღევანდელ ახალშენს, აღორძინებულსა და ლამაზს, თვალს შეავლებ ამ ბოლო წლებში აშენებულ კლუბ-კანტორას, სახალხო თეატრს, საშუალო თუ რვაწლიანი სკოლების შენობებს, საავადმყოფოს, აბანოს, ბიბლიოთეკას და არც კი გჯერა, რომ სამი-ოთხი ათეული წლის წინათ ამ სოფელში მხოლოდ სიღატაკე და უმეცრება მეფობდა.

ახლა ამ ათასხუთას კომლიან სოფელში ძმურად ცხოვრობენ ქართველები და ბერძნები, რუსები და სომხები... ამ ლამაზი ცის ქვეშ, ამ ნოყიერ მიწაზე ისინი ერთმა მისწრაფებამ, ერთმა მიზანმა შეადუღაბა — ააშენონ დიდი, ლამაზი შენობა, ბედნიერება და ძმობა რომ ჰქვია სახელად.

აი, ამ სოფელში, კეთილო მგზავრო, ბევრი ცხოვრობს გმირი და ორდენოსანი, ისინი, ვინც ეს საპატიო ჯილდოები მხოლოდ საკოლმეურნეო შრომით მოიპოვეს.

ახლა გაზაფხულია, გაცხარებული მუშაობის დრო, როცა საფუძველი ეყრება მოსავლის სიუხვეს. მაშინ კი შუა ზამთარი იყო, იანვარი.

თოვლით გადათეთრებულიყო ყველაფერი, ზამთრის ადრეული ბინდი ჩამოსწოლოდა სოფელს.

ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კანტორაში ახალგაზრდების ტევა არ იყო. ღია კრებაზე იხილავდნენ აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებას, რომელიც ეხებოდა ჩაის მეჩხერიანობის ლიკვიდაციას, საჰექტარო მოსავლიანობის ზრდისა და „მწვანე ოქროს" ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩაი და ვენახი, ვენახი და ჩაი! აი, თავი და თავი სიმდიდრე საქართველოს რესპუბლიკისა.

საქართველოს მშრომელებმა ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს დიდი ვალდებულება იკისრეს: მათ სამშობლოს უნდა ჩააბარონ 292 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულმა ბრიგადამ თუ რგოლმა კრიტიკული თვალით გადახედოს თავის ფართობს, იბრძოლოს მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის, დროულად იზრუნოს უხვი მოსავლისათვის.

და აი, იანვრის ამ საღამოს სწორედ ამიტომ შეყრილიყვნენ ახალშენელები კოლმეურნეობის კანტორაში.

პირველნი, რომლებიც გამოეხმაურნენ კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებას, იყვნენ მეცხრე ბრიგადის კომკავშირლები. მათ კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრებაზე ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს ბრიგადაში მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ სპეციალური რგოლი შეექმნათ. ამ რგოლში გაერთიანდნენ ახალგაზრდა ქალიშვილები და ვაჟები: თემურ ვერძაძე, ტარიელ და შალვა დევაძეები, ვაჟა, ოთარ, ნათელა და შუშანა დავითაძეები, ნოდარ მამულაძე, ვარდო გოცირიძე, ომარ და თალიკო მიქელაძეები. რგოლის ხელმძღვანელად ვაჟა დავითაძე აირჩიეს.

— თქვენი რგოლის კომკავშირლებმა, — მიმართა კრების მონაწილეებს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დავით ლორთქიფანიძემ, — მარტო ჩვენს რაიონს კი არა, მთელს რესპუბლიკას უნდა დაანახონ თუ რა შეუძლიათ ახალგაზრდებს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ვიდრე ამ რგოლის წევრებზე ვიტყოდეთ რამეს, ახალშენელი კომკავშირელების სული და გული დავით ლორთქიფანიძე გვინდა გავაცნოთ მკითხველებს.

ამ გულღია ახალგაზრდა კაცმა დამაინტერესა, შევეცადე მისი წარსული გამეცნო. და აი, ჩვეულებრივი მშრალი კითხვები:

— როდის დაამთავრეთ ინსტიტუტი?

— პირველად სად დაიწყეთ მუშაობა?

და ისიც მშრალად მპასუხობს.

დაუმთავრებია ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, შუახევის რაიონში სოფელ ინწკირვეთში სკოლის დირექტორის მოადგილედ უმუშავია, მერე ახალშენში — ფიზიკის მასწავლებლად, ხოლო 1972 წელს კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აურჩევიათ...

სოფლის ახალგაზრდები.



— კოლმეურნეობაში 17 საწარმოო ბრიგადაა, — მიხსნის ხელვაჩაურის კომკავშირის რაიკომის მდივანი თამაზ ქებულაძე, — თითოეულ ბრიგადასთან არსებობს კომკავშირული ორგანიზაცია, დავითი დიდი უფლებებით სარგებლობს. თავისი ბეჭედი აქვს, თვითონვე იღებს კომკავშირში ახალგაზრდებს. ასეთი მსხვილი კომიტეტი იშვიათად არის კოლმეურნეობაში.

ჩემთვის ყველაფერი ნათელია. აქაური კომკავშირლები კოლმეურნეობაში ძირითად ბირთვს რომ წარმოადგენენ, ამაში, ცხადია, დავითისაც მიუძღვის დიდი წვლილი.

როცა ახალგაზრდული რგოლი იქმნებოდა, ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა მას, მაგრამ გავიდა რაღაც ხუთი-ექვსი თვე და ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა. ახალგაზრდობის წამოწყებამ თანდათან შეისხა ფრთები.

სულ მოკლე ხანში კომკავშირულმა რგოლმა მოამზადა 0,3 ჰექტარი ჩაის ფართობი. რგოლის მიერ აღდგენილი იქნა 0,45 ფართობი ჩაის პლანტაცია, გაწმინდეს დაახლოებით 1 500 მეტრი ჩაის ფართობი, ციტრუსების ბაღებში შეიტანეს 34 ტონა ტორფი. კომკავშირელები სულ მალე გამორგავენ 850 ძირ ჩაის ბუჩქს. რგოლი თითქმის ყველა სამუშაოში ეხმარება ბრიგადას, ახალგაზრდები ყველგან არიან, სადაც ბრიგადას გაუჭირდება: თოხნასა თუ ბარვაში, კრეფასა თუ გამორგვაში.

რგოლის წევრებიდან ზოგი მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში სწავლობს, ზოგიც ჯარმოუვლელია და ეს-ეს არის დაამთავრა საშუალო სკოლა. შუშანა დავითაძე სასოფლო საბჭოს დეპუტატია, ჰინკაძე ნაზი შრომის წითელი დროშის ორდენოსანი. იგი სულ მალე ჩაუდგება სათავეში ახალ კომკავშირულ რგოლს. ახალგაზრდულმა რგოლმა იმედი გაამართლა და კომკავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა უმოკლეს ხანში კიდევ შექმნას ოთხი ასეთი ახალგაზრდული რგოლი.

— სულ მოკლე ხნის წინათ, — ამბობს დავით ლორთქიფანიძე, — მეჩაიეთა რესპუბლიკური თათბირი გაიმართა. ჩვენი ახალგაზრდობა ახლა იბრძვის, რომ გაიზარდოს ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა, ამაღლდეს მისი ხარისხი. 1974-1975 წლები ჩვენი კომკავშირული ორწლედია. ამ პერიოდში გეგმით უნდა მოვკრიფოთ 1 300 ტონა ჩაი. ვალდებულება კი 1 500 ტონა ავიღეთ. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას 5 800 კილოგრამამდე გავზრდით.

და აი, როცა ყოველივე ეს შევიტყვე, მაშინ დავრწმუნდი დავითის ნათქვამში: ჩვენს კოლმეურნეობაში ძირითადი ბირთვი ახალგაზრდობაა.

ყველაფერს ტრადიცია ქმნის, წინა კაცი უკანის ხიდიაო, გვჯერა, რომ აქაურ ახალგაზრდებს შრომა უფროსი თაობის წარმომადგენლებმა შეაყვარეს. ესენი არიან სოციალისტური შრომის გმირი მარიკა პარასკევოპულო, ლენინის ორდენოსანი მეჩაიე მერიემ სურმანიძე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეჩაიე ნანუშა ლომინაძე და რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო კიდევ...



კრების შემდეგ.



დავით ლორთქიფანიძე.

ფოტო თარხან არჩვაძისა

ახლა, როცა ჩვენ ახალშენში ვართ, ნამდვილი გაზაფხულია.

აჭარა, ისიც გაზაფხულზე, თავბრუდამხვევი სილამაზისაა. მიდი და აწერე ეს სილამაზე. მოწმენდილი ცა ისე კაშკაშებს, ისეთნაირად დაგყურებს თავზე, თითქოს ზღვა და აქაური სიმწვანე ერთად აურეკლავს. ძირს კი, დედამიწაზე, ისეთი ფერები ბრწყინავენ, ისე ხასხასებს ტყე თუ მინდორი, მის შემხედვარე კაცს გული დაგწყდება, რომ ამ სილამაზის ცქერას ოდესმე უნდა მოსწყდე.

დიახ, ახლა გაზაფხულია. პლანტაციებსა და ციტრუსებს მოსდებიან ახალშენელები, ისინი, რომლებმაც წლევანდელი წლით უნდა ასახელონ სამშობლო.

სოფელი ახალშენი...

ბარაქალა, ახალგაზრდებო, თქვენს მარჯვენას! აი, ვეტოვებ თქვენს ლამაზ, მდიდარ სოფელს — დავითაძეებო, ჰინკაძეებო, ლორთქიფანიძეებო, ვერძაძეებო, მიქელაძეებო და იმედი მაქვს, რომ თქვენი შრომით კვლავაც ასახელებთ სოფელს, რაიონს, ჩვენს სამშობლოს. ხვალინდელი დღე თქვენია.

თქვენ დიდი გაზაფხული გიდგათ, ნათელი, რომელსაც უფრო ნათელი წელიწადი მოჰყვება. ეს არის ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი.

გახსოვდეთ დიდი გურამიშვილის შეგონება:

„კაცმა უნდა სიწმინდით თავი შეინახოსა,
არაფერი ბოროტი გულით განიზრახოსა,
რაც თვის ეხნას, ეთესოს, ანუ დაეპარცხოსა —
ის მოიმკას, გალეწოს, დაიდგოს და-ცხოსა!"



ვაჟა დავითაძე (მარცხნივ) და შალვა დევაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს!..“



1899 წელს ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულით აღნიშნა გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის დაბადების ასი წლისთავი. ამ თარიღს ქართული ჟურნალ-გაზეთები ფართოდ გამოეხმაურნენ. ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ 26 მაისის ნომერი მთლიანად მიუძღვნა პოეტის იუბილეს. დაბეჭდა რამდენიმე საინტერესო წერილი და პოეტის ვრცელი ბიოგრაფია. გაზეთმა, აგრეთვე, მოათავსა პუშკინის აფორიზმები, ქართულად თარგმნილი პოეტის ლექსები და ნაკვესები.

ქვემოთ ვბეჭდავთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუშკინის აფორიზმებს, ნაკვესებს და წერილს, რომელსაც ხელს აწერს „არბოელი“ — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური.




ივერია

ა. ს. პუშკინი

1799–1899

(პუშკინის ნაამბობი)

ერთხელ დენის დავიდოვმა მოახსენა ბაგრატიონს: „მთავარსარდალმა მიბრძანა მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას: მტერი თითქმის ცხვირწინ გვიდგას და გთხოვთ დაუყონებლივ უკუ იქცეთო“ ბაგრატიონმა უპასუხა: „ცხვირწინაო? ვის ცხვირწინ? თუ შენს ცხვირწინ, მართლა ახლო ყოფილა, თუ ჩემ ცხვირწინ, ჯერ კიდევ შორს მდგარა. სადილის ჭამას კიდევაც მოვასწრებთო“.

*

ხელმწიფე დიდხანს არ აძლევდა პოლკოვნიკ ბოლდირევს გენერლობას, რადგანაც ქაღალდის მოთამაშე იყო და აგებდა. ერთხელ, სასახლეში, რადაც დიდ დღესასწაულზე ხელმწიფემ ახლო ჩაუარა ბოლდირევს და უბრძანა: „ბოლდირევ, მომილოცავსო“. ბოლდირევმა სიხარულით არ იცოდა რა ექნა. ბოლდირევსა და სხვებსაც, ვინც ამ ამბავს დაესწრო, ეგონათ, რომ ხელმწიფემ გენერლობა მიულოცაო. ცოტა ხნის მერე ხელმწიფემ ისევ ახლო გაუარა ბოლდირევს და კვლავ ხმადაბლა უბრძანა: „მომილოცავს, ამბობენ, გუშინ ქაღალდში მოგიგიაო“. ბოლდირევს მწუხარებით ფერი ეცვალა.

*

მოხუცი გენერალი „სწ...“ ეახლა იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს გამოსაცხადებლად. იმპერატრიცამ უბრძანა: „მე აქამდე თქვენი ცნობა არ მქონიაო“. „მეც, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, არა მქონია თქვენი ცნობაო“, — უპასუხა გულუბრყვილო გენერალმა. „მწამს ეგ თქვენი სიტყვა და საკვირველიც არ არის, — უპასუხა ეკატერინემ ღიმილით, — აბა სად და როგორ გამიცნობდით, ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი ვარო“.



1829 წელს პუშკინი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა. ნახა კავკასიონის მთები, მისი მცხოვრებნი, ველნი და ხეობანი საქართველოსი და აღტაცებაში მოსულმა რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა მათ. მაგრამ არა მხოლოდ ამ ლექსების გამო არის ჩვენთვის, ქართველებისათვის, ძვირფასი და დაუვიწყარი პუშკინი, არამედ მას მიუძღვის ჩვენზე უფრო დიდი ღვაწლი. ბევრი არ არის არც ევროპასა და არც რუსეთში მეორე ისეთი მწერალი, რომლის თხზულებათაგან იმდენი ეთარგმნოთ ქართველებს, რამდენიც პუშკინის თხზულებათაგან. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს იმ დიად გავლენას, რომელიც პუშკინს ჰქონდა ჩვენს მწერლებზე. მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიათ იმ წმინდა და შეურყეველ კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მაშ დიდება სახელს!! აღტაცებული გრძნობით შორიდან ხელს ვუწვდით ჩვენს უფროსს ძმებს — რუსეთის ერსა და მასთან ერთად ვღაღადებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს!..

არბოელი

## აფორიზმები

(პუშკინისა)

როგორც ქარს და არწივს, ისე გულს ქალისას კანონები არა აქვს.

*

ზეგარდმო-შთაგონება არ იყიდება. შესაძლოა მარტო ხელნაწერი გაიყიდოს.

*

ყოველთვის აგრე იქნება და აგრეც ყოფილა, ძველის-ძველადგანვე ესეა ეს წუთი-სოფელი: მსწავლელი ბევრია, ჭკუიანი ცოტა, ნაცნობი მრავალი და მეგობარი — არც ერთი.

*

რა არის სახელი და დიდება? ჩიფჩიფი მკითხველისა, დევნა-გინება სულმდაბლისა, თუ აღტაცება სულელისა?

*

ყოველივე ჩემია, სთქვა ოქრომ; ყოველივე ჩემია, სთქვა ხმალმა. ყოველსავე ვიყიდი, სთქვა ოქრომ; ყოველსავე ხელთ ვიგდებ, სთქვა ხმალმა.

*

შესაძლოა კაცი საქმიანიც იყოს და ფრჩხილების სილამაზისათვისაც ჰფიქრობდეს.

*

ზეგარდმო-შთაგონებას ვერ მიაღწევ: თვითონ იგი უნდა ეწვიოს პოეტსა.

**175 წელი ა. პუშკინის დაბადებიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ნატო ვაჩნაძე















ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისში სახელმწიფო ფილარმონიის ახალ შენობაში გაიხსნა ბავშვთა სურათების გალერეა. გამოფენაზე ნორჩ მხატვართა 1200-ზე მეტი ნამუშევარია წარმოდგენილი: სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა სახეობა — ფერწერა და გრაფიკა, ქანდაკება და ლინოგრავიურა, ჭედური ნამუშევრები და გამოყენებითი ხელოვნება. გამოფენის მონაწილეთა ასაკია სამიდან თოთხმეტ წლამდე. გამოფენაზე ერთ-ერთი კუთხე დათმობილი აქვს იაპონელ ბავშვთა ნამუშევრებს. ამ ნახატებში იაპონელი ბავშვები დიდი უშუალობითა და სიყვარულით გადმოგვცემენ მშობლიური მხარის ნაციონალურ კოლორიტს. ნაირ-ნაირ ფერებში ხატავენ ამომავალი მზის ქვეყანას, მის ზღაპრულ პეიზაჟებს, იაპონელებს, მათთვის დამახასიათებელი ჩაცმულობით. ვბეჭდავთ იაპონელ ბავშვთა რამდენიმე ნამუშევარს.





## მეცნიერის ტრიბუნა

აკაკი შანიძე

# უკუქცევითი წარმოების მაგალითები ქართულში

უკუქცევითს ანუ რეტროგრადულ წარმოებას მაშინ აქვს ხოლმე ადგილი, როცა რომელიმე სწორი ფორმა რომელსამე ენობრივ წრეში არასწორად ეჩვენებათ და მას „გამართავენ“ ამ ენაში მიღებული ზოგადი წესების მიხედვით. მაგალითი: **სრა** სპარსული სიტყვაა, იგი ნიშნავს დიდებულ სახლს, საუცხოოდ აგებულ სახლს, კერძოდ მეფის სახლს. იგი რომ ქართულში შემოვიდა, ცალკეც იხმარებოდა: მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება:

**სრა** ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა (71,1);

დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა (507,1). მაგრამ შემდეგ იგი გამოყენებულ იქნა „სახლის“ განსაზღვრებად: რა სახლი?

— სრა სახლი. ამ გზით მივიღეთ კომპოზიტი „სრა-სახლი“.

„ამ ხმაზე დიდი **სრა-სახლი** ლიბო-ჭერითურთ იძრვოდა“ (ვაჟა, „სული ობლისა“). როგორც აღნიშნული მაქვს, ეს „სრა-სახლი“ გაუგებარი შეიქნა, განსაკუთრებით მაშინ, როცა **რ** ამოვარდა და ამას მოჰყვა მისი „გაქართულება“: სა-სახლ-ე[1], ამგვარად, სიტყვამ მნიშვნელობა შეინარჩუნა, მაგრამ წარმოება ეხამუშა ყურს და გადმოკეთდა ქართული წარმოების კვალობაზე: **სა — ე**, სა-სახლ-ე.

მოყვანილი მაგალითი სიტყვათა წარმოქმნის სფეროდან არის აღებული. მოიპოვება აგრეთვე მაგალითები უკუქცევითი წარმოებისა ფონეტიკის სფეროდან. ესენია **დიაკვანი** და **ამილახვარი**.

**დიაკვანი.** **უა** კომპლექსი ძველ სალიტერატურო ქართულში მყარი იყო და არ იცვლებოდა **ო-დ**, როგორც ეს არის ზოგიერთ თანამედროვე ქართულ კილოში: მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურში, ნაწილობრივ კახურში. მოხეურად და მთიულურად, მაგ., **ითქმის**: თუალის ნაცვლად **თოლი**, ჯუარის ნაცვლად **ჯორი**, ცხუარის ნაცვლად **ცხორი**, ძუალის ნაცვლად **ძოლი** და მისთ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართული ამას გაურბის, — ძველი **უა-ს** ნაცვლად ეხლა გვაქვს **ვა**: თვალი, ჯვარი, ცხვარი, ძვალი და მისთ. გამონაკლისის სახით კი გვაქვს კვამლის ნაცვლად **კომლი** (ცალკე მოსახლის მნიშვნელობით და **როგორ**, მიღებული **რაგუარ**-ისაგან (რაგუარ→რაგორ—როგორ)[2].

**დიაკონ-ი** ადრე შემოსული სიტყვაა. მისი ხმარება ქრისტიანობის გავრცელებას მოჰყვა თან. იგი ბერძნულია და მისი **ო** ბერძნულიდანვე მოდის (დიაკონი „მსახური“). სალიტერატურო ქართულში ეგ სიტყვა **ონით** იხმარებოდა. მაგ., იგი რამდენჯერმე გვხვდება იაკობის ჟამისწირვაში, რომლის ტექსტი კ. კეკელიძემ გამოსცა XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით[3]: დიაკონი გვ. 11, 16, 18, 19. 21, 23, 30, 66, 67, 74, 77, 78, 81, 82, 86, 139. ამას გარდა, გვხვდება იმავე ძეგლში: მთავარ-დიაკონი (გვ. 101), კერძო დიაკონი (93, 94) და დედათ დიაკონი (გვ. 96). ამ სიტყვისაგან ნაწარმოებია გვარი დიაკონიძე[3].

მაგრამ ეს **ო** ზოგიერთებს ისე გაუგიათ, თითქო იგი ისეთი კილოს კუთვნილება იყოს, რომელშიც **ო** ქართლურისა და სალიტერატურო ქართულის **უა-ს** (ან **ვა-ს**) შეესატყვისებოდეს. ამას გამოუწვევია უკუქცევითი წარმოება: დიაკვანი, მაგ., 1798 წლის ხარჯის ნუსხაში იხსენებიან: შიო დიაკვანი, გიორგი დიაკვანი და გლახა დიაკვანი, რომელთაც ფსალმუნის წაკითხვაში გარკვეული თანხა მიუღიათ.[4]

**ამილახორ-ი** სპარსული სიტყვაა. იგი უკვე „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება:

**ამილახორო**, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია (54,2).

„ამილახორი“ კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილში სპ. **ახორ-ი** (ახორ) შედის. ეს **ახორი** ცალკეც იხმარება ქართულში; სულხან ორბელიანის სიტყვით: **ახორი** — ცხენის ბაგა. „ამილახორში“ **ლ** ასიმილაციის ნიადაგზეა მიღებული: **ამირ ახორ-ი**→ამილახორი. იგი ნიშნავს ახორის გამგეს, მეჯინიბეთუხუცესს, შტალმეისტერს.

ამილახორობა თანამდებობა იყო. როგორც ცნობილია, წოდებისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება საკუთარ სახელადაც იქცეს და გვარი აღნიშნოს. ასეთებია ქართულში: ერისთავი, ციხისთავი, მდივანი, ამირეჯიბი. ასეთივეა ამილახორიც, რომელიც უმეტესად ამილახვარად იწერება და გვარს აღნიშნავს. მაგ., „ქართლის ცხოვრებაში“ 1561 წლის ამბებთან დაკავშირებით იკითხება: „არამედ მოსწყდენ ქართველნიცა მრავალნი, რამეთუ **ამილახვართაგანნიცა** მოსწყდნენ ცხრანი“.[5]

ამ ადგილის მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გვარი მე-16 საუკუნეშიც საყოველთაოდ ამილახვარი იყო, მაგრამ უეჭველია, რომ ამგვარად ჟღერს იგი XVIII და XIX საუკუნეში, როგორც ეს ჩანს სხვადასხვა წერილობითი საბუთიდან, მაგ., ნ. ბერძენიშვილის გამოცემული მასალებიდან[6]: „ამილახვარმა გივმა ასე გაგვარიგა“ (გადაწყვეტილების წიგნი 1724-1744 წ.წ., მასალ. II, 30);[7] ოთარ ამილახვარი (1807 წლის ახლო შედგენილს საქართველოს ჩინებულთა ნუსხაში; მასალ. III, 144); თავადი გიორგი ამილახვარი (ხელის მოწერა წერილზე, რომელიც მას გაუგზავნია ზაალ მურადაშვილისათვის 1814 წელს: მასალ. II, 209) და სხვა.

8. XI. 1958.

---

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. § 167, შენიშვნა.

2 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 34.

3 დიაკონიძეები თერჯოლის რაიონში ცხოვრობენ.

4 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, 1955, გვ. 109.

5 ქართლის ცხოვრება, II (1854), გვ. 26.

6 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წ. II. მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ. 1953. წ. III, თბ. 1955 (აქ შემოკლებით. მასალ.).

7 იგივე პირი ამილახორად-აც იწერება (მასალ. II, 34).

## ლექსები

ფოტულა იანოკოპულუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დაიძინე

— დედილო, ჩემო დედილო,
სიზმარი ვნახე ფერადი;
მდინარის პირას გავრბოდი,
დიდი ვიუავ და ვღელავდი.

მინდორში გაზაფხულივით
ქალი შემომხვდა მცინარე
და ისე გამახალისა,
ავღელდი, როგორც მდინარე.

კვლავ მენატრება სიზმარი,
რომ ყვავილნარში ვიარო
და ჩემი სიზმრის სიმდიდრე
სხვა ბავშვებს გავუზიარო.

ვაჩუქო მზე და ვარდები,
ფრთები შეასხან ჩიტებმა,
ამაღლდებიან ცაში და
ფრენაც არ გაუჭირდებათ.

— იძინე, შვილო, ნუ ღელავ,
როგორაც ნათილისმარი,
სულ მალე აგისრულდება
შენი ლამაზი სიზმარი.

ფრთებს გაშლის თავისუფლება,
გაქრება გულის სიმძიმე,
ახდება შენი სიზმარი,
იძინე, ტკბილად იძინე!

### ცისარტყელა

ცისარტყელავ, ცისარტყელავ, შვიდი ფერით
სავსევ,
შემეშველე კიბესავით, რომ ავიდე ცაზე,
გავიარო ერთი წუთით ვარსკვლავების ახლო,
მივიდე და მივეფერო, მნათობს ხელი ვახლო.
მზის სხივებით გავნებივრდე, გავნებივრდე მზეში,
ჩავეხვიო, მოვიხიბლო ცის მნათობთა ეშხით.
მერე ისევ დავუბრუნდე მიწას მწვანით სავსეს
და ჩიტივით გადავევლო დედამიწის საზღვრებს.
გადავევლო, მერე მკერდში ჩავეხვიო დედას —
რახანია მიმელის და თვალით ველარ მხედავს.
გზა მასწავლე, ცისარტყელავ, წამიყვანე მეცა,
სადაც ზღვაა მტრედისფერი და ცისფერი ზეცა.
არ მასვენებს, სამშობლოსკენ მეზიდება დარდი,
ჩემი სული, რა ხანია, იმ მინდვრებზე დადის.
შეარჩიე შენ ყველაზე მომხიბლავი ფერი,
თუ მეგზურად გამაყოლებ, რას დამაკლებს მტერი.
ხოლო თუკი გავიმარჯვე, აღარ წავალ არსად,
ჩემს მხარესაც განახვებ და ხმელთაშუა ზღვასაც.
შენ შვიდფერად აყვავდები, ამღერდები კიდეც,
აამღერებ მწყემსებსა და აამღერებ ჩიტებს.
სამუდამოდ იქ დარჩები, იქ მიაღწევ მიზანს.
ველარ დათმობ ელადის ცას და ელადის მიწას.

თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ.

# კვირტები

ნოველა

თემურ აბულაშვილი

ალმართზე პაპა და შვილიშვილი მიდიოდნენ. წვერგაუპარსავი, მხრებში მოხრილი ბერიკაცი ხელჯოხს მიაბაკუნებდა ასფალტზე და შვილიშვილს მეთვალყურესავით მისდევდა უკან. შეჩერდებოდა ბერიკაცი, სუნთქვაგახშირებული, ხელიდან ხელში გადაიტანდა ჯოხს და ტყეს გახედავდა. შემოტრიალდებოდა შვილიშვილი, ისიც ჩახრიდა ფეხს, ხმაამოუღებლივ იდგა და ქალაქისკენ იყურებოდა. მთა-გორებზე გაწვენილი, მხარგაშლილი ქალაქი კარგად მოჩანდა აქედან.

გზა მოსახვევებით იყო დაკბილული. პაპა და შვილიშვილი ხშირ-ხშირად ისვენებდნენ. ზოგჯერ სწორი, ჩამოკვეთილი კლდე ალიმართებოდა მათ წინ, ბერიკაცი თვალის სიმშვენიერეს ველარ ხედავდა, გოგონა მზის სხივებში გახვეულ ქალაქს და გულწრფელი განცდა ეკარგებოდა. ამ დროს, ბერიკაცს თავს ახსენებდა დაღლილობა და გამწარებული ბუზღუნებდა:

„ნეტავ, პატრონი გაუქრა, თუ რა ღმერთი გაუწყრა იმ ავტობუსხა?!“

სიარული მას უფრო უჭირდა. ფერგახუხებული ქურთუკის მხოლოდ ერთი ღილი გაეხსნა, რომ თავისუფლად ესუნთქა. თან, არ შემცივდესო, ეშინოდა. კლდიდან წყალი მოჟონავდა და გარემო ნოტიო ჰაერით იყო გაჟღენთილი.

— დავისვენოთ, გოგო, არ დაიღალე? — პაპა ჯოხზე დაყრდნობილი ეკითხებოდა შვილიშვილს.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

დაისვენეს; და განაგრძეს გზა. ასიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარეს. წამოეწიათ ხაბარგო მანქანა და შეჩერდა. კაბინიდან შავტუხა ბიჭმა გადმოიხედა:

— დასხედით, დალოცვილებო! თუ გეხალისებათ ფეხით სიარული?

ქალიშვილმა მორიდებული ცნობისმოყვარეობით ახედა შოფერს. ეშხიანი ბიჭი იყო, მასზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა. ხორბლისფერი სახე ჰქონდა, ხშირი, დახვეული თმა. ჭაბუკმა თამამად გაუყარა თვალი თვალში.

ქალიშვილს ლოყები წამოწითლებოდა სიარულისაგან და კმაყოფილი სახით უყურებდა.

— საით მიხვალ? — ბერიკაცმა მაღლა ასწია ხელჯოხი.

— წყნეთში.

— წაგვიყვა, აგრემც გაიხარებ! — დათვისებური ნაბიჯებით შემოუარა მანქანას, მაინც სულსწრაფივით იჩქარა და ჭაბუკის გვერდით დაჯდა, გოგონა პაპას გვერდით მოკალათდა.

მანქანა დაიძრა.

— რამდენი ხანია მოვქაქანებთ და არა და არ გამოჩნდა ავტობუსი... წყნეთელი არ უნდა იყო შენა.

— მანგლისიდან ვარ, საქმეზე მივდივარ იქა. მერმე ისევ ქალაქში უნდა დავბრუნდე. — ჭაბუკმა ბერიკაცს გადახედა, ქურდულად ქალიშვილისკენაც გააპარა თვალი, მაგრამ კარგად ვერ დაინახა. წინწამოწეულ პაპას ამაყად ეჭირა თვალი.

— მეზობლები ვყოფილვართ, კაცო. ეს ჩემი შვილიშვილია. სწავლას ამთავრებს წელსა და აი, ქალაქში საქმე გვქონდა პატარა. საყიდლებზე ვიყავით.

— დიდხანს იცადეთ?

— დიდხანს, აბა! სიცივემაც მოუჭირა, შევლონდით და ფეხით წამოვედით.

— სიცივე სადღაა! მთელი კვირა მზიანი დარები იდგა. — ჭაბუკმა ისევ გადახედა მგზავრებს. ქალიშვილი ჩუმად იჯდა. გზის ჩაყოლებაზე ალვის ხეები იდგა. ქვევით მზით გაბდღვრიალებული ქალაქი მოჩანდა. ალვისხეებმა მუხლისთავებზე გადაიმტვრიეს მზის სხივები და მანქანამაც მოუხვია. შოფერი საჭეს თავისუფლად ატრიალებდა. მსხვილი, გაუხეშებული ხელები ჰქონდა, გრძელი თითები. მაჯებზე ვაჟკაცური სიძლიერე ეტყობოდა. ქალიშვილმა თვალი მოაშორა.

— ეს მზე ჩემს ძვლებს ველარ ათბობს, შვილო. ჯერ კიდევ სიცივეებია.

— რამ შეგაშინა, ბერიკაცო, გაზაფხულთა უკვე. თუ არ გჯერა, შენს შვილიშვილს შეეკითხე და თვითონ გეტყვის. — ჭაბუკს სახე გაეხსნა, მოკრძალებული ღიმილი დაეფინა ტუჩებზე. ის კი, სინამდვილეში ვისთვისაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი, თავჩაღუნული იჯდა, დარცხვენილი.

— ჭეელო, დიდ ქვას ამოფარებული ბალახი გვიან გამოჩნდება და ურიგო როდია, გვიანვე გახმება. ძველებმა ეს უკეთესად ვიცით. ღამით ყინვებს იჭერს და ბალები დამზრალია. აი, მოტიტვლებულ კლდეს ფათალო რომ შემოეხვევა, გაზაფხული მაშინ დადგება.

— მსხლისა და ვაშლის ბაღი მაქვს, მტერს თვალები დაეთხრება. კვირტდაბერილ ხეხილს ყინვამ ვერა დააკლო რა! — ჭაბუკმა სარკე შეატრიალა და შეეცადა, ქალიშვილის სახე დაენახა.

— ის კვირტები, ჩემო კეთილო, ჯერ ნაზია და სათუთი. ყვავილობამდე კარგა დროა და ხომ იცი, მარტი რა გადარეულია. ხვალ რომ ჩამოთოვოს, თეთრ საბურველში გაეხვევა. პირის შეცვლა ყოველთვის იცის. შენ იქნება არც ის გაგიგია, სართვლო ვენახები დასეტყვილა, მიჯნას იქით სეტყვა ყოფილა, მიჯნას აქეთ კი არა. ამინდის ხელშეწყობა გლეხკაცის მალამოა. ამინდი თვითონ ცხოვრებაა და ცხოვრება — ღვთითბოძებული ბედი. ისე, რომა, გაზაფხულამდე ჯერ ადრეა. — ბერიკაცმა ხმა აიმაღლა და დაკოჟრილი ხელიც თითქოს მუქარით ასწია.

— გაზაფხულია, ძია კაცო, აბა რა არის? — გაიღიმა შოფერმა და ქალიშვილს სარკეში შეაცქერდა. — კატაბარდები დაიბურა, ტყეში შესვლა გაგიჭირდება.

— კატაბარდები თავის დღენი დაბურულია. დაბურული თუ არა, დაკვრანჩხული მაინც. ისე, ტყეში შესვლა თუ გინდა, კატაბარდების გაკაფვა აღარ უნდა გინდოდეს. მე იმისი ეკალი ყოველთვის მახსოვს და ფოთლის ფერი კი დამვიწყებია.

— ფოთლის ფერზე რა გითხრა და თავიდანვე ეკალმა გამკაწროსო, ვინ ეხარბება?! ბუნება იღვიძებს და გვეძახის. ამაზე აღარ ფიქრობთ, ძველებო?.. აი, გადაიხედე, ქვევით.

ქალიშვილმაც წამოსწია თავი და სამივემ ერთ მხარეს გაიხედეს.

ეკალბარდების გადაღმა, ტაფობში ხელისგულივით გადაშლილ სოფელს ორთქლი ასდიოდა. ჟამდაკარგული, წითელკრამიტიანი სახლები ბურუსიდან გამოდიოდნენ და ზევ-ზევით მოცურავდნენ. ნისლგადაყრილი მთა-გორებისა და მატყლის ფთილებივით დაწეწილი, თივთიკი ღრუბლების ცქერა წარმოუდგენელ სიხალისეს იწვევდა.

ისევ მოუხვია მანქანამ. ბერიკაცი ჩაფიქრებული იჯდა, თვალსმიფარებული სანახები არ იშლებოდა მეხსიერებიდან, მაგრამ მოჭუტული თვალებით შორს, ძალიან შორს იყურებოდა. გულზვიადი, თეთრი მწვერვალი დაინახა, ქედუდრეკად ალმართული. უხიამო შეგრძნებამ მონუსხა, თითქოს კბილმაგარმა სუსხმა გაჰკრა, ცივმა, შორეულმა.

უსიტყვოდ განვლეს ალმართი, გაივაკეს და ბერიკაცმა წამოიწია.

— აი, აქ გაგვიჩერე, შვილო... დიდი მადლობა! — ვერ გაბედა, ფული შეეძლია.

ჭაბუკმა უყურა, უყურა მათ და ნელ-ნელა დაძრა მანქანა.

— გადმოადგი, გოგო, ფეხი, რამ გაგაჩერა?!

„პაპა, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს“, — გაიფიქრა ქალიშვილმა და ისარივით გაჭრილ გზას გახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წლით კაპიტნის პირველ თანაშემწედ ვმუშაობ გემ „გიორგი ლეონიძეზე". გადავიარეთ სამი ოკეანე. იაპონიიდან ავსტრალიისკენ გავწიეთ, მერე ეგვიპტეს მივადექით. ეს ლექსები ახალი ციკლიდანაა.

ავტორი

## პირველი საღამო იაპონიაში

ცისფერ თოვაში ზღვასთან ვიდექ მე,
ბორბლებს გრეხილად თოვლზე გაევლოთ.
რა ფეხაკრეფით გამეპარა დღე
და შემატია უცხო გარემოს.

შუქთა და ჩრდილთა უსაშველო ცვლამ
წამავლო ხელი, იქვე მაჩვენა,
ფერად შუშებად დამსხვრეულმა ცამ
ასფალტის შარა რომ ააჭრელა.

მაგრამ ვიცოდი საით იყო მზე,
გულდაჯერებულს, ალბათ, ამითა, —
არ მინანია იმ დღის წასვლა მე,
დღე სამშობლოსკენ რადგან წავიდა.

* * *

მოწყენილობა სუფევდა გემზე
რა შენ ნაღველი გაწვა, კაპიტან.
თვითეულს ჯავრი გვაჭერდა დეზებს,
რა უქეიფოდ იყავ, კაპიტან.

ოხშივარივით დიოდა ღამე
ოკეანიდან, როგორც ქვაბიდან,
ვერ მოვერევით, იცოდე სამუმს,
ვინ იცის, ქარი საით წაგვიტანს,
თუ არ გაიხსენ შუბლი, კაპიტან.
შენი მოწყენა უფრო გვაშინებს,
ვიდრე უდაბურ ზღვათა ამინდი,
რომ შემოგვიჭერს ალყას გარშემო.

მოღუშულობა მოჰკალ, კაპიტან,
პირზე ღიმილი გადაგვაბნიე
და შენი ხათრით ცასაც გავფლითავთ
და სამშვიდობოს ვპოვებთ ნაპირებს.

## ზაფხულს გამოვედევნე

გამოვედევნე გაპარულ ზაფხულს,
დიდი ხნის წინათ გზას რომ გაუდგა;
ეკვატორს ქვემოთ, დაოფლილ-დაღლილს
ვეწევი სადღაც კეიპტაუნთან.

ველარ ვიცანი, სახით და ფერით,
იყო შემკრთალი და ნირშეცვლილი.
მოთეთრო ნისლებს ეკავათ ხელში
მზე გამთხლეული თოხლო კვერცხივით.

შორს ასდიოდა ალმური მიწას,
მე ოკეანე მერტყა მორევად.
და მოვრეკავდი ცხვრის ფარასავით
ზაფხულს სამშობლოს მოსაპოვებლად.

* * *

დღეს ოკეანე ნელა ბიბინებს, ვითა ყანა,
არაფერია ირგვლივ, არც თოლიები ჩანან.
ალბათ, შორსაა მიწა,
სახლი, ბალახი, ძროხა,
მესაუბრება ზვირთი, — ზღვასაც ცოდნია ოხვრა.
მომნატრებია სოფლის ბუხარი,
ბული, მტვერი,
ვიცი, მელიან უკვე, იციან, რომ მეც ველი.

## ლას-პალმასის სანტა-მარია

კანარის კუნძულთა ამ ლამაზ ესპანურ ქალაქში შეჩერდა ჩვენი გემი.

იქ ვულკანის ჩქერია
თუ გიზგიზა კვარია?
მთას წელზე აწერია:
„ვივა, სანტა-მარია!"

იგივ ტყე და ველია,
იგივ მთა და ბარია,
ყველაფერი ძველია,
მაინც რა მიხარია?!

ალბათ, ამდენ ბორიო
ზღვით გბეზრდება ძუნძული,
და სამშობლო ჰგონია
გულს ყოველი კუნძული.

ლას-პალმასში ვნატრობდით,
გადაგვეგდო ბაგირი,
ერთი გავლით დავტოვეთ
მთელი თვის ჯამაგირი.

მედუქნენი ბრბოსავით
იმ ჩვენს გროშებს მიეჭრა,
ქუჩამ მშიერ ხბოსავით
ჯიბე ვამოგვილეჭა.

მაგრამ სხვას რას ინატრებ, —
წვიმის შემდეგ დარია.
მზე უფასოდ გვინათებს, —
გმადლობთ, სანტა-მარია!

ვახვევთ ჯაჭვებს, ბაგირებს.
ზღვის საღამო წყნარია.
აქეთ აღარ ვაპირებ,
გმადლობთ, სანტა-მარია!

ლას-პალმასი ღამეში
ჩანს, ვით ცეცხლის მტევანი,
ვაჭრის ხარბი კაეშნით
დაგვადევნა მდევარი.

იყო ზეცა ტიტველი
და მთას აჩნდა მთვარიანს
ვერცხლისფერი ტიტრებით —
„ვივა, სანტა-მარია!"

მოგვეწია სიმღერა,
დაჭიმული ლარივით,
ესპანეთი იღვრება
შიგ ცრემლით და მარილით.

ისმის ხართა ჰიდილი,
ზავთად ცემა ტორების,
ფეშტამალებს ბინდივით
ჰფენენ მატადორები.

ესპანეთი გუგუნებს,
ჩივის — განა მკვდარია?! —
იყოს, გვეგულებოდეს! —
„ვივა, სანტა-მარია!"

# გემი „გიორგი ლეონიძე" ოკეანეში



## ბარათი შვილისადმი

მო, გამოვცადოთ ერთიმეორე, —
მე ვეომები ჩემს სიძნელეებს
და, შვილო, შენაც შენსას ეომე.

ჭირს ამ ცხოვრების სრულად აწყობა,
მაგრამ არსობის ოთხივე კედელს
ამაგრებს მაინც კაიკაცობა.

აქ მე შორეულ ზღვაშიც ვიგრძენი,
რა არის იჭვი, ქიშპობა, მტრობა
და კაცთა ნდობის პოვნის სიძნელე.

ამიტომ, როცა ერთად ვართ, შვილო,
მაშინაც მარტომ ეცადე — აზრი
და თავისთავი აშალაშინო.

შვილო, რაც უნდა მწარედ თუ დიდხანს
კრაბო წვეთობით ბედნიერება,
არ უღალატო საკუთარ სიტყვას.

არ მიივიწყო საკუთარ ხალხის
ძველი, ახალი, ცრემლი, სიმღერა,
რომლის გარეშე სიცოცხლე არ ღირს!

## გამოღვიძება ოკეანეში

გავიღვიძე და პოეტი ვიყავ
და პირველი, რაც მოვიდა სიტყვა,
გავატანე ოკეანის ზვირთებს:
— წა, იარე, ღელვებს შეერითმე!
და მეორე სიტყვა, რაც მოვიდა,
ავიტანე გემში მძიმე ტვირთად,
რათა ყოველ ნავთსაყუდში მერმე
ტვირთოს და ვერ გადმოტვირთოს ვერვინ.
მესამე რომ სიტყვა დამებადა,
გავაფინე აბრეშუმის ბადედ
და მოვხვიე მოციმციმე ზღვებზე
ვარსკვლავებით ტანმოხატულ თევზებს.
რა მეოთხეც სიტყვა მომეწვია,
ის მეზღვაურს მივუტანე ჰკვიანს,
როგორც ლოცვა და არსობის პური.
ვუთხარ: — მარად, სიტყვა, ამავ, ქართულიც
სანაოსნოდ, ჩემი მიწის ძეთა,
ზღვათა შორთა გზათა წაგიძღვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## არხი კრა

მსოფლიოში ამჟამად კარგად ცნობილია სუეცისა და პანამის არხები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო ნაოსნობისათვის, მაგრამ სულ მალე არანაკლები მნიშვნელობა ექნება კრას არხსაც. ეს არხი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შენდება.

ტაილანდის მთავრობამ დადგენილება გამოიტანა და მიმდინარე წლის დასაწყისიდან უკვე დაიწყო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობის — კრას არხის მშენებლობა.

კრას ყელზე არხის გაყვანის პროექტი დიდი ხანია არსებობს. ჯერ კიდევ 1868 წელს ოსტ-ინდოეთის კამპანიამ განიზრახა კრას ყელზე არხის გაყვანა, მაგრამ ხარჯების უქონლობისა და, პირველ რიგში, ტექნიკური სიძნელეების გამო, პროექტი ქაღალდზე დარჩა.

კრას ყელი მდებარეობს მალაკას ნახევარკუნძულზე. იგი ინდოეთის ოკეანეს გამოყოფს სამხრეთ ჩინეთის ზღვისაგან. სწორედ აქ არის ყველაზე ვიწრო ადგილი, სადაც შეიძლება გაყვანილი იქნას ორი ზღვის შემაერთებელი არხი. ყველაზე ვიწრო ადგილის სიგრძე აქ 40 კილომეტრს უდრის.

არხის მნიშვნელობა, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ იგი დიდად ამოკლებს გზას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩინეთისა და იაპონიის მიმართულებით. მაგალითად, ბირმის დედაქალაქ რანგუნიდან ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკამდე მანძილი 3.800 კილომეტრით მცირდება, ხოლო ინდოეთიდან ჩინეთამდე — დაახლოებით 1.500 კილომეტრით.

კრას ყელზე არხის გაყვანის მთავარი სიძნელე დაკავშირებული იყო ორი ზღვის დონის სხვადასხვაობასა და საკმაოდ მაღალ რელიეფზე. მიუხედავად ამისა, ცნობილმა ამერიკელმა ინჟინერმა ე. ტალერმა შეადგინა შესანიშნავი პროექტი. წინასწარი სამუშაოები, რომელიც უკვე დაიწყო, დაახლოებით 480 მილიონი დოლარი დაჯდება.

არხი 10 წელიწადში უნდა აშენდეს. არხისა და ნავსადგურის მშენებლობა დაახლოებით ერთი მილიარდი მანეთი დაჯდება. არხის ორივე მხარეზე აშენდება დიდი ნავსადგურები, მსხვილი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. არხი წლიურად საშუალოდ გაატარებს ერთ მილიონ ტონა წყალწყვის გემებს. როგორც ცნობილია, იაპონია ძირითადი იმპორტიორია ახლო აღმოსავლეთის ნავთობისა, ამიტომ არხის გაყვანაში ყველაზე მეტად იაპონიაა დაინტერესებული. ახლო აღმოსავლეთიდან იაპონიამდე არსებული გზა ტანკერებისათვის მალე 12 საათით შემცირდება.



გადაღებაზე.

საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ცნობილ კინოპუბლიცისტსა და დოკუმენტური ფილმების ოსტატს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს გიორგი ასათიანს 60 წელი შეუსრულდა.

ქართულმა დოკუმენტურმა ფილმებმა უკანასკნელ წლებში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამ დამსახურებულ წარმატებაში, უპირველეს ყოვლისა, თავისი დიდი და საპატიო წვლილი შეიტანა გიორგი ასათიანმა.

მძაფრი პოლიტიკური სიმახვილე, ეტყუარი ალღო, მოვლენებისა და ფაქტების მხატვრული განზოგადება, სიზუსტე, დამაჯერებლობა, თანამედროვე ცხოვრების ფერხულში ტრიალი — აი, გიორგი ასათიანის მრავალფეროვანი შემოქმედების ხელწერა.

გიორგი ასათიანი ჩვეული ოსტატობით იღებს საქართველოს დღევანდელი მჩქეფარე ცხოვრების ამსახველ დოკუმენტურ სურათებს, სიყვარულითა და შემოქმედებითი გატაცებით მოგზაურობს შორეულ წარსულში, ქმნის ისეთ შთამაგონებელ ფილმებს, როგორიც არის, თუნდაც, „რუსთაველი და მისი ეპოქა", „ქვებში აღბეჭდილი საუკუნეები"...

სიჭე, ენერგია, შემოქმედებითი





გიორგი ასათიანი.

ფანტაზია ხელოვანში ორგანულად არის შერწყმული ნოვატორულ ძიებასთან და გამბედაობასთან.

„საჰარა", „ნილოსის სათავეებთან", „ინკების ქვეყანაში", „ახალ ზელანდიაში" და სხვა დოკუმენტური ფილმები სწორედ ასეთი ნოვატორული ძიებისა და კინოაპარატით ხელში მსოფლიოს შორეულ, მივარდნილ კუთხეებში მოგზაურობის შედეგია.

შეუძლებელია გიორგი ასათიანზე ისაუბრო და არ დაასახელო საზღვარგარეთის თემებზე შექმნილი ისეთი ფილმები, როგორიც არის: „ნაირსართულიანი ამერიკა", „მეხუთე კონტინენტის გზები", „პარიზი... პარიზი", „შეხვედრა საბერძნეთთან", „მიუნხენი — 25 წლის შემდეგ"...

ეს ფილმები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებშია გადაღებული, მაგრამ მათ წითელ ზოლად გასდევს მაღალმხატვრულობა, რეალიზმი, საბჭოთა კინოს ოსტატის თვალით დანახული ბურჟუაზიული ცხოვრების სინამდვილე.

ხელოვანი შემოქმედებითი ენერგიით არის აღსავსე. დოკუმენტური კინოს მოყვარულები გიორგი ასათიანისაგან კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს მოელიან.

# კინოკამერით მსოფლიოს გარშემო

კინოოპერატორი იური ბარამიძე (მარცხნივ), გიორგი ასათიანი და სამხატვრო საბჭოს წევრი გურამ ქვანია.

სამონტაჟო საამქროში.



გიორგი ასათიანი მუშაობს დოკუმენტალურ ფილმზე „ხუთწლედის მეოთხე, გამსაზღვრელი".



## სამკურნალო პრეპარატი ლეღვისაგან

ჭაჭას არყის გამოსახდელად იყენებენ. მაგრამ რა ვუყოთ ლექს, წიპწასა და მეღვინეობის სხვა ნარჩენებს?

ამ საკითხების გადასაწყვეტად უკვე კარგა ხანია, რაც ნაყოფიერად მუშაობს ეწევა საქართველოს სსრ ვებნის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა გამშრალი წიპწიდან შეძლეს მიეღოთ ზეთი, რომელიც ტექნიკური დანიშნულებისათვის გამოიყენება. სათანადო რაფინაციის შემდეგ იგი ადამიანის საკვებადაც შეიძლება გამოვიყენოთ.

ჭაჭის ნარჩენებს, სათანადო გადამუშავების შემდეგ, პირუტყვის საკვებად იყენებენ. კრინაჭის ნარჩენი, ე. წ. ბუყი კი უალკოჰოლო სასმელებისა და არომატული ღვინის მისაღებად გამოიყენება. ბუყიდან შეძლეს მიეღოთ, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სამკურნალო პრეპარატები.

მეცნიერებს არც ვაზის სხვლის შედეგად მიღებული მწვანე ყლორტები დარჩენიათ უყურადღებოდ. სპეციალისტებმა ამ ყლორტებისაგან ლეკინისა და პოლიორგანული საკვები მჟავეები დაამზადეს.



## ვაზს ამყნობს მანქანა

ჩაის საკრეფი მანქანა დღეს არავის უკვირს. მაგრამ ვაზის — ამ სათუთი მცენარის მყნობის მექანიზაციაც თუ შეიძლებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ ქართველი სპეციალისტები.

საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამას წინათ შექმნეს ვაზის სამყნობი მანქანა, რომლის ნიმუშები (20 ცალი) უკვე დაამზადეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. ამ საექსპერიმენტო ნიმუშებს ახლა წარმატებით იყენებენ სახელმწიფო სანერგეებში. მანქანა დღეში 5 000-მდე ვაზს ამყნობს და 7-8 მუშას ცვლის.



## სამყნობი დანადგარი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაამზადეს უნიკალური ელექტროსტრატიფიციური დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდება ვაზის ნამყენის გამოყვანა.

ორიგინალური დანადგარი მნიშვნელოვნად აჩქარებს და აიფებს მყნობის ოპერაციებს. ნამყენის გამოსაყვანად საჭირო აღარ არის ნახერხი, ყუთები და სხვა დამხმარე მასალები.

ვაზის ნამყენის გამომყვანი ელექტროდანადგარი ამჟამად წარმატებით მუშაობს მცხეთისა და ლაგოდეხის სახელმწიფო სანერგეებში.

# ვახტანგ ჭელიძის ახალი წიგნი




გივი გოგიჩაიშვილი

გამომცემლობა „ნაკადულმა" ახლახან მკითხველს საინტერესო წიგნი მიაწოდა — ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები".

ავტორი წიგნის ბოლოთქმაში აღნიშნავს: „ისტორიის ასეთი პოპულარული, ფართო მკითხველისათვის საკითხავი წიგნები თითქმის ყველა კულტურულ ერს აქვს". ხოლო ამ წიგნის მთავარი დანიშნულება და პათოსი ავტორს ასე აქვს ჩამოყალიბებული: „ისტორიკოსი ქრონიკის სიმშრალით გადმოგვცემს ხოლმე ფაქტებს, მის მოვალეობას არ შეადგენს ბელეტრისტის თვალით გააცოცხლოს მოვლენები".

წიგნში გაშუქებულია ჩვენი ხალხის ცხოვრება უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის მერვე-მეცხრე საუკუნეებამდე.

ვ. ჭელიძეს უამრავი ლიტერატურით უსარგებლია, ზღვა მასალა შეუსწავლია, თავისებურად გაუაზრებია და მხატვრული ელფერი მიუცია. „ქრონიკებში" ჩანს ავტორის ერუდირებული კვლევისა და ღრმა განსჯის უნარი. წიგნში გამოყენებულია თანამედროვე ქართველ არქეოლოგთა უკანასკნელი გათხრებისა და აღმოჩენათა შედეგები.

ვახტანგ ჭელიძის „ქრონიკების" დიდი ღირსება ის არის, რომ იგი ხალისით იკითხება, მას ერთნაირი ინტერესით წაიკითხავს ყრმაც და ჭაბუკიც, მოხუციც და ახალგაზრდაც. წიგნის ენა სადაა, უბრალო, მხატვრული და ხატოვანი. იგი მოზარდ თაობას უნერგავს სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობას, აღუძრავს სიამაყეს ჩვენი წინაპრებისადმი, წარსულის მაგალითებით მომავალზე დააფიქრებს, აცნობს როგორნი ვიყავით, ახწავლის როგორი უნდა ვიყოთ.

ვახტანგ ჭელიძე დინჯად, თანამიმდევრულად გვიამბობს ჩვენი ქვეყნის ავბედითობისა თუ ზეაღსვლის ამბებს; სამაგალითოს აჩენს, არც ჩრდილოვან მხარეებს მალავს, რასაც მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვს.

„ქრონიკებში" მრავლადაა ავტორისეული წიაღსვლები, ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის წიგნს. ამ წიაღსვლებშიც ავტორი არ კარგავს ზომიერების გრძნობას.

მემატიანეს მშრალად აქვს მინიშნებული ქსენოფონტეს ბერძენთა ჯარში ერთი მონათმყოფი ქართველი ჭაბუკის ამბავი. ვ. ჭელიძე ამ ამბავს აღრმავებს, შემაძრწუნებელი ფერებით ხატავს ჭაბუკის თავგადასავალს. აქ არც ისტორიული სიმართლეა გვერდავლილი, ხოლო მხატვრული სამოსი ეპიზოდს სიმძაფრეს მატებს.

წიგნში ქართველთა თავდადებისა და დაუმორჩილებლობის საოცარი მაგალითია მოტანილი. ქსენოფონტეს ლაშქრობისას ბერძნები ქართველთა ციხე-სიმაგრეს რომ აიღებენ, ციხე-სიმაგრეში მყოფნი მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებენ და ყველანი უფსკრულში გადაეშვებიან. ასეთი თავდადება და გმირობა სამასი წლის შემდეგ ესპანეთის სახელგანთქმული ქალაქის ნუმანსიის მცხოვრებლებმა გაიმეორეს — მტრის თვალწინ მათ უზარმაზარი კოცონი დაანთეს და შიგ შეცვივდნენ.

„ქრონიკებში" დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვახტანგ გორგასალის ცხოვრება-მოღვაწეობას. შესანიშნავადაა დაწერილი ვახტანგის მამის მირდატისა და სპარსეთის პიტიახშის მშვენიერი ასულის საგდუხტის სასიყვარულო ეპიზოდი. შთამბეჭდავია საგდუხტისა და მისი შვილების სტუმრობა სპარსეთის პიტიახშ ბარზაბოდთან, საგდუხტის მამასთან. აქაც ავტორისეული ფანტაზია ისტორიულ სიმართლეს ესადაგება.

„ქრონიკებში" ავტორი იუმორსაც მიმართავს, რაც ნაწარმოებს ხალისით ავსებს.

წიგნში ჩართული ეპიზოდები ნოველასავით იკითხება.

ვახტანგ ჭელიძე იყენებს ლეგენდებს, თქმულებებს, სასწაულებს, რომლებსაც ზოგჯერ ჩვენი მემატიანეები ჰყვებიან და მათში სიმართლის მარცვალს პოულობს. მაგალითად, წმინდა ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა, ასურელ მამათა ამბავი და სხვ. თავდაპირველად, დღევანდელი მეცნიერული დასკვნების საფუძველზე ახლებურადაა გააზრებული ყველა იმ წმინდანის ცხოვრება, რომლებსაც საქართველოს ისტორიაში თავიანთი მტკიცე ადგილი აქვთ მიკუთვნებული. წიგნს თავიდან ბოლომდე ანტირელიგიური პათოსი გასდევს, მაგრამ არც ისაა დავიწყებული, თუ ერთმა კაბადოკიელმა ასულმა რა გააკეთა საქართველოსთვის.

აი, რას წერს ავტორი მეფის ბედზე, მის ტახტზე: „დიდი სიკეთის წყაროც არის ეს ტახტი და დიდი უბედურებისაც. ბევრს გახდომია იგი მწარე სანანებლად, მაგრამ ისეთი თილისმით არის ნაქსოვი, რომ რაკიღა ერთხელ ფეხს შესდგამს, თავის ნებით ვერა და ვერ ჩამოვა. თანაც ისიც დამახასიათებელია, რომ ამ ტახტიდან დიდების მწვერვალზე ასვლა გაცილებით უფრო ნაკლებს ღირსებაა... რაც დრო გადის, უფრო გამოკვეთილად ჩანს იმ ადამიანის სიკეთეც და სიჭკვიანეც, საბედისწერო შეცდომებიც, და ცოდვაცა და ბოროტებაც, რაც ოდესღაც ნებით თუ უნებლიეთ ჩაუდენია".

ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკები" ოცი ათასი ტირაჟით გამოვიდა და მალე გაიყიდა. ესეც ამ წიგნის ღირსების დამადასტურებელია.

მკითხველი მოუთმენლად მოელის „ქრონიკების" შემდგომ წიგნებს.

## შენ ვერ გაიყოფი, ვერა!...

ელდარ კერძევაძე

დღე და ღამე,
მზე და მთვარე,
ჩრდილი მაღალ კიპარისის,
გაყოფილი არის ორად —
სასხვისოდ და სათავისოდ.
აღმოჩენის სიხარული,
სიცხადე თუ მოლანდება,
სიმართლე თუ სიყვარული,
დაკარგულის მონატრება.
ყველაფერი,
ყველა ფერი —
მწუხარე თუ სახალისო,
გაყოფილი არის ორად —
სასხვისოდ და სათავისოდ.
ქარის წისქვილებთან ბრძოლა,
მიწა ჩვენი დედამიწის
გაყოფილი არის ორად —
სასხვისოდ და სათავისოდ.
გულო პოეტისა, მჯერა,
შენი წმინდა სათავისა,
შენ ვერ გაიყოფი, ვერა —
სასხვისოდ და სათავისოდ.

### სტუმრად კონსტანტინე გამსახურდიასთან

გალავანთან
სპანი ჩვენი მოკრბეს...
თავს იმედის შუქი დაგვციმციმებს,
— ახალგაზრდა პოეტები... მოკლედ
მოახსენეს ბატონ კონსტანტინეს.
— მობრძანდითო, —
და განიხვნეს კარნი,
აშრიალდნენ ტანმაღალი ხენი...
ავიყარეთ სითამამის ფარნი —
კოშკში ამირსპასალარი გველის.
წარვუდექით
ვით შეჰფერის ყრმათა,
მოგვეგება ჩვეულ სისადავით...
ვეამბორეთ მხარზე სიტყვის სარდალს,
დავუკოცნეთ დიდოსტატის მკლავი.
— დაბრძანდითო, —
ბრძანა და დაბრძანდა.
შევცქეროდით კრძალვითა და რიდით,
გამოგვკითხა რას ვაკეთებთ გარდა
ლექსის წერის და წიგნების კითხვის.
გვესაუბრა...
გაგვამხნევა,
— წერეთ;
ჩაფიქრდა და უცებ მოიწყინა...
გაიბოლა...
აგრე ბრძანა მერმე:
— შვილო თამარ,
მოიტანე ღვინო...
დავულოცეთ მარჯვენა და ჰერი
ქართულ სიტყვის სინდისსა და ნამუსს
და ვუსურვეთ კვლავ მრავალი წელი
დავითივით მხარში ედგეს მამულს.
ვბრუნდებოდით ჩრდილით ფენილ გზაზე
ღვინითა და სიხარულით მთვრალნი
და კოლხური კოშკის გალავანზე
გუშაგივით იდგა თეთრი მთვარე...

# ბედის ვარსკვლავი

სიკო დოლიძე
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხნიდან მარჯვნივ: ნ. შენგელაია, გიორგი ლეონიძე, ნატო ვაჩნაძე და ლეო ქიაჩელი.

ჩემი მოგონება ნატოზე ერთი სამახსოვრო დღიდან მინდა დავიწყო.

ზაფხული იყო... მეცადინეობით დაღლილი სამი სტუდენტი, სამი ამხანაგი — ლევან ასათიანი, ალექსანდრე მაღულარია და მე რუსთაველის გამზირს მივუყვებოდით. გავჩერდით მხატვარ-ფოტოგრაფ შიხმანის ფოტოატელიეს წინ და ფოტოსტენდზე გამოფენილი სურათების თვალიერებას შევუდექით. ჩვენში განსაკუთრებული იუმორით ლევანი გამოირჩეოდა. მისი მოსწრებული ენის მსხვერპლი ახლა ერთი ოჯახური იდილიის ამსახველი ფოტო იყო, რომელიც შიხმანს სავანგებოდ გამოეტანა ვიტრინაზე. ლევანი ხუმრობდა, ჩვენ ვხარხარებდით. უცებ ფოტოსტენდთან გამხდარი, შუახნის ჩია ტანის კაცი გაჩნდა და ისიც სურათების თვალიერებას მოჰყვა. მას თეთრი ხალათი ეცვა, წელზე კავკასიური ქამარი ერტყა, გალიფე ეცვა, თავზე ფაფახი ეხურა. ეს კაცი უცებ შეხტა და სიხარულით წამოიძახა: — ევრიკა! მერე ფოტოატელიეს კარებს ეცა და მეორე სართულზე ავარდა.

გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, სურათებს დავაცქერდით. ვერ დავაზუსტეთ, უცნობმა სურათებში ისეთი რა ნახა, არქიმედის ეს ცნობილი ფრაზა რომ წამოიძახა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი ატელიედან გამოვარდა, ხელში ქაღალდი ეჭირა.

— ევრიკა! — კვლავ შესძახა მან, — ბიჭებო, ევრიკა! საქართველოს და რუსეთის ეკრანებზე მალე ამობრწყინდება ახალი კინოვარსკვლავი! — გულზე მუშტი მაგრად დაირტყა და სასწრაფოდ გაგვეცალა.

იმ წლებში ქართული კინო ახალფეხადგმული იყო. პირველ ქართულ საბჭოთა სურათებს „არსენა ჯორჯიაშვილს" და „სურამის ციხეს" დიდი წარმატება ხვდა. ქართული კინოს სააქციო საზოგადოება „სახკინმრეწვი" თავიდანვე ენერგიულად შეუდგა საქმიანობას. რეჟისორი ბარსკი იმ დროს ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის" გადაღებას აპირებდა და ნუნუს ეძებდა — ეკრანისათვის ჯერ უცნობ ახალ სახეს. ახალი ვარსკვლავის აღმოჩენისთვის ხუთასი მანეთი იყო დაწესებული.

რეჟისორი შაქრო ბერიშვილი ბარსკისთან მუშაობდა და, ცხადია, ისიც ეძებდა ნუნუს როლის შემსრულებელს. და აი, შაქრო ბერიშვილი შიხმანის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებში ნატოს პორტრეტს წააწყდა. ფოტოგრაფს ნატოს მისამართი გამოართვა და იმ დღესვე კახეთის მატარებლით გურჯაანისაკენ გაემგზავრა.

...კავკასიონის ქედზე წამომჯდარი მთვარე შუქში ახვევდა ალაზნის ჭალებს. ანდრონიკაშვილიანთ აივანი ალაზნის ველს ზემოდან გადაჰყურებდა. სოფელს ეძინა... მხოლოდ ერთი ოჯახი ფხიზლობდა, დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა ნატოს თბილისში გამგზავრება.

...ღია ფანჯარაში კახეთის ლურჯი ცა შემოსცქეროდა, მთების თოვლიან მწვერვალების მაღლა, გამჭვირვალე სივრცეში, ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა. ნატო ამ ვარსკვლავს შესცქეროდა... რამდენჯერ უთქვამს ბებიას ნატოსათვის: „შვილო, ეს შენი ბედის ვარსკვლავიაო".

* * *

ქართული კინოხელოვნების ალიონზე ნატო ვაჩნაძე ცისკრის ვარსკვლავად ამობრწყინდა.

ყაზბეგის მოთხრობის „მამის მკვლელის" მთავარი გმირის ნუნუს სახე პირველი როლი იყო ნატოსი. და აი, პირველმა როლმა მას სახელოვნად გაუთქვა სახელი. ნატომ შეძლო განესახიერებინა ნაზი, სათნოებით აღსავსე მთიელი ქალის ტრაგიკული სახე. ფილმ „მამის მკვლელის" გადაღება დამთავრებული არ იყო, რომ ნატოს უკვე ყაზბეგის „მოძღვარში" იღებდნენ. „მოძღვარს" „არსენა" და „სამი სიცოცხლე" მოჰყვა. ამ ფილმის შემდეგ კი ნატო ვაჩნაძე საბჭოთა კინოვარსკვლავად აღიარეს.

მახსოვს, 1925 წლის მიწურული იდგა. ფილმ „ვინ არის დამნაშავეს" ამონტაჟებდნენ. მე და რეჟისორმა მაკაროვმა საპროექციო დარბაზში შევიარეთ. იქ დიდხანს დარჩენას არ ვაპირებდით, მაგრამ დამონტაჟებულმა ეპიზოდმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება და ვეღარ მოვშორდით ეკრანს. ფატისა და არსენას ეპიზოდი... მათი უკანასკნელი შეხვედრა... ეკრანზე არც ერთი წარწერა არ განმარტავდა გათამაშებული ეპიზოდის შინაარსს. ნატო ვაჩნაძე და დიმიტრი ყიფიანი დიდი შინაგანი ოსტატობით გადმოსცემდნენ უსიტყვო, დრამატიზმით აღსავსე ტრაგიკულ სცენას.

## მიხარის...

შოთა ნიშნიანიძეს

მიხარის შენთან გატეხა პურის
და შენი ჯიღა თვალების სითბო,
ასე ალალი
და ასე ძმური —
ერთი შეხედვით...
სულ სხვა ხარ... თითქოს...
შენი ლექსების ლერწმოვანები
გადარეკლილა ვეფხვის თვალებში,
ეგ სიყვარული არ დამანებებს
სიტყვა გაკადრო გულის გარეშე.
სხვა პოეტებსაც არ ვედავები —
ყველასი მიყვარს ლექსი ნამდვილი, —
ვისაც არასდროს ეცოტავება
ორი მტკაველი დედის მანდილი.
ვინც ვაჟკაცია,
მართლაც,
მართალი,
ლექსით,
ოცნებით,
საქმით,
მიზნებით,
ვინც დღენიადაგ მამულს დაჰხარის
„და ღამე სძინავს ვეფხვის სიზმრებით".

## იმ გატაცებით...

სიმონ შამფრიანს

იმ გატაცებით და სიხალისით
უნდა ავვარდე ერთხელ სვანეთში,
თავქვეშ დავიდო ღრუბლის ბალიში
და ღმერთს შევხედო შემკრთალ თვალებში.

უნდა მივაგნო ფერებს უხილავს,
კავკასიონზე დავდგე ამაყად,
ჩემი სევდა და ჩემი წუხილი
ზვავთა ზრიალში უნდა ჩავმარხო.

სვანებთან ერთად „ლილეო" ვჭექო,
მზე ვით მიმინო ცერზე დავისვა,
რომ ვავიგონო სამყაროს ექო
და ციდან რეკვა გორგასალისა.

ფრთებზე მოვექცე მძვინვარ ქარიშხალს
და გადავხედო სივრცე-განედებს,
დალის ჩავხედო ცისფერ თვალებში
და მიჯაჭვული ავხსნა პრომეთე.

ხმალი ვაელვო პირგაბასრული,
მთვარეს ვესროლო ელვის ქამანდი,
ღმერთებს მოვტაცო უნდა ასული,
დევთა ქორწილში მსურს ვითამადო.

დაუნახავის შევძლო დანახვა,
გავიმჭექარო, გავიქუხილო,
ზვავთა ზრიალში უნდა ჩავმარხო
ჩემი სევდა და ჩემი წუხილი...

გიორგი მაკაროვი კინოს ვეტერანად ითვლებოდა. იგი ვერა ხოლოდნაიასთან, ივანე მოუუხინთან, რუსეთის ბევრ მსახიობთან და რეჟისორთან იყო ნამუშევარი. დარბაზიდან რომ გამოვედით, მაკაროვმა აღტაცება ვერ დაფარა და მითხრა:

— სიკო, რაც ვნახეთ, ეს რეჟისორისა და მსახიობების დიდი წარმატებაა იცოდე, ნატო ასეთი „სამ სიცოცხლეშიც" არ ყოფილა, წამოდი, მივულოცოთ!

სწორედ იმ საღამოს გავიცანი ნატო. ნატოს ძალიან გაუხარდა ჩვენი მისვლა. ქებამ აღაფრთოვანა. მერე მაკაროვმა ნატოს ახალი სასიამოვნო ამბავი შეატყობინა: ბეკნაზაროვი „ნათელაში" შენს გადაღებას აპირებსო. მაკაროვი ოხუნჯობდა, ნატო გულიანად იცინოდა. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი დაახლოება, რომელიც შემდეგ დიდ მეგობრობაში გადაიზარდა.

ფილმ „ნათელას" შემდეგ ნატომ „ამოკში" და „კრაზანაში" ითამაშა. ორივე ფილმი კოტე მარჯანიშვილმა გადაიღო.

„კრაზანა", „ნათელა", „ამოკი" — ამ სამი სურათით ამთავრებს ნატო ვაჩნაძე თავისი შემოქმედების პირველ პერიოდს.

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში პარტიამ კინოს დიდი ამოცანები დაუსახა, რომელთა გადაჭრა საქართველოს კინომრეწველობის მუშაობის გადახალისებას, ახალი კადრების დაწინაურებას მოითხოვდა, იგი თანამედროვე თემატიკას საჭიროებდა. და აი, ქართულ კინოში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელმაც ახალი იდეები მოიტანა. პირველი როლი, რომელიც ნატომ ახლებურად განასხორციელა, „გიული" იყო (რეჟისორი ნ. შენგელაია). აქ ნატო დაბეჩავებულ, უნებისყოფო, სხვის მორჩილ, ბედს შეგუებულ სოფლის გოგონად როდი გვევლინება.

ტექნიკის სწრაფი განვითარება კინოსაც დაეტყო. თავდებოდა კინოს მუნჯი პერიოდი. „ბუმბერაზი მუნჯი" მოულოდნელად ალაპარაკდა.

ვიდრე მუნჯი კინო ლაპარაკს კარგად დაეუფლებოდა, ნატოს შემოქმედებაში მცირეოდენი შესვენება მოხდა. ის საქართველოდან გაემგზავრა, ოთხი წელი რუსეთში გაატარა.

„უკანასკნელი ჯვაროსნების" დადგმისთვის ვემზადებოდი: ხევსური ქალის ციციას როლის შესაფერისად მარტო ნატო მიმაჩნდა. ის კი ამ დროს მოსკოვში იყო და ჩემი გადაწყვეტილება დეპეშით ვაცნობე. ნატოს ელდარი ჯერ ძლიერ პატარა ჰყავდა, თვითონაც ძალიან იყო დასუსტებული და მომწერა: „ნუ გავიწყდება, მარტო არა ვარ, ელდარს რა ვუყო? მეც ისე ვარ გამხდარი, იქნებ არც გამოგადგეო". შევუთვლე, ხევსურეთის ჰავა შენც მოგიხდება და ბიჭსაც. სანდრო კანდელაკის ულუფას დაგინიშნავ, მეტი რა გიყო-მეთქი. „ჯვაროსნებში" ერთ-ერთი ხევსურის როლის შემსრულებლად ცნობილი მოჭიდავე სანდრო კანდელაკი მყავდა მოწვეული. სანდრო მაშინ ას ოთხმოც კილოს იწონიდა. არ ვიცოდი, სად მომეძებნა ისეთი მუხლმაგარი ცხენი, რომელიც მთაში მის ტარებას შეძლებდა. იმ დროს ჩვენში სურსათ-სანოვაგეზე ჯერ კიდევ საბარათო სისტემა იყო. ფილიპე მახარაძე სანდროს დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ და მისი შუამდგომლობით, როგორც გამონაკლისი, კანდელაკს ოთხი კაცის ულუფა ჰქონდა დაწესებული. თითო კაცის პურის ნორმა რვაასი გრამი იყო. სწორედ ამ ულუფას შევპირდი ნატოს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ნატოსა და მის ორი თვის ბიჭუნას სადგურზე დავხვდი.

თრუსოს წარმტაც ხეობაში მთელი ზაფხული გავატარეთ. ნატომ მალე მოიკეთა და ვხედავდი, რომ მშვენიერი ციცია მყავდა.

პატარა ელდარი ხან ურმით მიგვყავდა გადაღებაზე, ხან ცხენით. დიდი ჭირვეული ვინმე იყო, ხშირად ტიროდა, მაგრამ აჭმევდა თუ არა ნატო, იგი მაშინვე გაჩუმდებოდა და მინდორში გაფენილ ნაბადზე მიიძინებდა.

სოფელს, სადაც ჩვენ ვიდექით, თერგი ჩამოუდიოდა. ერთხელ შეწუხებულმა დედაჩემმა მითხრა:

— შვილო, მე დავუშალე, ნატო მაინც თავისას შვრება, ბავშვს ყოველდღე თერგში აბანავებს, ის ბიჭი არ გააცივოს.

დავბრუნდით თუ არა გადაღებიდან, ნატომ ელდარს ხელი ჭაავლო და თერგისაკენ გააქანა, მეც მას მივყევი.

— ნატო, — ვუთხარი მე, — აქაურებს ვერ გაუბედავთ თერგში ბანაობა და ჩვილი ბავშვის მდინარეში მონათვლა რა ორიგინალობაა, გაგიცივდება, ფილტვების ანთება არ დაემართოს; კოლიას რა პასუხი გავცე?

ნატომ გამიღიმა და ბავშვი ისევ თერგის ტალღებს მიაგება. ელდარს ეს პროცედურა ეტყობოდა, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ჰგვრიდა, ბანაობის დროს მისი კივილი მდინარის ხმაურს ფარავდა ხოლმე.

არ ვიცი, შემთხვევას მივაწერო თუ სპარტანული აღზრდის წესებს, ელდარი თრუსოს ხეობაში ისე გახდა ექვსი თვის, რომ სურდოც კი არ შეჰყრია... და ახლა, როდესაც ელდარს მოვკრავ ხოლმე თვალს, გულში ვლოცავ მის მშობელს, რომელმაც თოვლიანი კალთებიდან ნაყონ თერგად ქცეულ მდინარეში არწია და გამოაწრთო ასეთი ვაჟკაცი.

...მაგონდება ნიკოლოზ შენგელაიას სურათი „ნარინჯის ველი". ნატომ ამ სურათში აქტიური კომკავშირელი ქალის — ნანის სახე შექმნა, რომელსაც შეუძლია თავის გარშემო შემოიკრიბოს ახალგაზრდობა და აქტიურად ჩააბას სოფლის მშენებლობაში. რეჟისორ პიპინაშვილის „პოეტის აკვანში" ნატო ძიძის როლს ასრულებდა. სავსებით სამართლიანი იყო მაყურებელთა მიერ ამ ფილმის ერთსულოვანი აღიარება. ნატომ აქაც ჩვეული ოსტატობით განასახიერა ეს როლი.

გამოჩნდა თუ არა ეკრანზე ნატო, იმ დღიდანვე დაიპყრო მრავალმილიონიანი მაყურებლის გული. იგი ხალხის უსაყვარლესი მსახიობი გახდა. იმ ფილმებს, რომლებშიც ნატო მონაწილეობდა, მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, საზღვარგარეთაც დიდი წარმატება ჰქონდა.

ნატო ვაჩნაძე ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდა ხელოვნებას.

ნატო ვაჩნაძის, როგორც მსახიობის, ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი კინოხელოვნების განვითარების ისტორიასთან, მის კორიფეებთან და განსაკუთრებით ქართული კინემატოგრაფიის ალმავლობისათვის აქტიური მებრძოლის, ხელოვნების ამ დარგის დიდი ოსტატის ნიკოლოზ შენგელაიას ცხოვრებასა და შემოქმედებასთან.

ოციანი წლების დასაწყისში, როდესაც შაქრო ბერიშვილთან ერთად ნატო თბილისისკენ მოეშურებოდა, ვაზიანის ველზე გაჭიმული გზის ერთი მოსახვევი რატომღაც ღრმად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. აქ მან თითქოს პირველად იხილა თბილისი, გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. მისი ახალი ცხოვრება ხომ ამ მოსახვევიდან იწყებოდა... წინ მსახიობის შემოქმედების ძნელი და მძიმე გზა იდო. რას იფიქრებდა მაშინ ნატო, რომ მისი ცხოვრების თანამეცხედრე ნიკოლოზ შენგელაიას ოცი წლის შემდეგ, იანვრის ერთ თოვლიან ღამეს, სწორედ ამ მოსახვევთან ჩაუდგებოდა თვალებში უკუნეთი, მისი მშფოთვარე, მოუსვენარი გული სამუდამოდ აქ შეწყვეტდა ძგერას...

რას იფიქრებდა თუ თვითონ, ვარსკვლავებს გატოლებული, სწორედ რომ ცას მოაკლდებოდა და ფერფლადა და ნაცრად ქცეული მიწას მიემატებოდა.

მაგრამ ისეთი ვარსკვლავები, როგორიც ნატოა, არ ქრებიან, რადგან ფირებზე შემონახული მათი ნიჭი და მშვენიერება მუდამ კიაფობს კინოეკრანებზე.



ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განუმეორებელი ზეიმი

1949 წლის ათი აპრილის ნომერში გაზეთი „კომუნისტი" იტყობინებოდა: „ხვალ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ნატო ვაჩნაძის კინემატოგრაფიაში მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო".

მეორე დღეს ოპერის თეატრის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ცხენოსანი მილიცია საგულდაგულოდ იცავდა წესრიგს. ყველას სურდა ნატოს იუბილეს დასწრებოდა. მაგრამ ოპერის თეატრი ნატოს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს როგორ დაიტევდა?

მაყურებლებით გაჭედილა დარბაზი... სცენის სიღრმეში დაშვებულ ფარდაზე კიაფობს რიცხვი — 25, ხალხი მოუთმენლად ელის ნატოს გამოჩენას.

აგერ გამოჩნდა ნატო... იგი საგულდაგულოდ გამართული თეთრი კიბის საფეხურებზე მოაბიჯებს. ნატოს გვერდს უმშვენებენ შ. დადიანი, ივ. პერესტიანი, ა. დიღმელოვი, შ. ღამბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე... დარბაზში ტაში არ ცხრება...

საღამოს ხსნის თბილისის კინოსტუდიის დირექტორი მ. ქვესელავა. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა კინორეჟისორ ს. დოლიძეს. ეკრანზე უჩვენებენ კინოკადრებს ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

...აგერ, თბილისის კინოატელიე. 1923 წელს ნატო ვაჩნაძე სწორედ ამ ფარღალალა ქოხში მოვიდა პირველად სასინჯ გადაღებაზე... ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ეპიზოდები სხვადასხვა კინოფილმებიდან: „ვინ არის დამნაშავე", „ნათელა", „უკანასკნელი ჯვაროსნები", „არსენა", „უკანასკნელი მასკარადი", „ნარინჯის ველი", „სამშობლო", „ქალიშვილი ხიდობნიდან", „ქაჯანა", „ის კიდევ დაბრუნდება", „აკაკის აკვანი", აი ფილმები, რომლებშიც ნატო ვაჩნაძემ შექმნა დაუვიწყარი სახეები... ისევ ოპერის თეატრის სცენა... სცენაზე შემოდის სპარტაკ ბაღაშვილი, იუბილარს ულოცავენ: „აკაკის აკვანის" და სხვა კინოფილმების გმირები.

სიტყვა ეძლევა ნატო ვაჩნაძეს.

ნატო სცენის შუაგულში დგას. იგი მომხიბვლელი ღიმილით გადაავლებს თვალს მაყურებელს და სამადლობელო სიტყვას წარმოთქვამს...

ასე მთავრდება 1949 წელს თბილისის კინოსტუდიის მიერ გამოშვებული სრულმეტრაჟიანი ფილმი „ნატო ვაჩნაძე", ფილმის მონტაჟი ეკუთვნის რეჟისორ შ. მარტაშვილს, ი. კანდელაკსა და ვ. დოლენკოს.

ნატო ვაჩნაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გადაიღეს კინოოპერატორებმა გ. ასათიანმა, ლ. არზუმანოვმა, ა. სემიონოვმა.

კინოსტუდიის შემოქმედებით კოლექტივს დიდი სიყვარულით უმუშავია, რომ შეექმნა დოკუმენტური ფილმი „ნატო ვაჩნაძე". ფილმში შთამბეჭდავად არის მოცემული მსახიობის შემოქმედების ოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილი განუმეორებელი ზეიმი.



ირაკლი ყანდაშვილი. სიყვარული.



სამეული. ფიროსმანის გახსენება.



ვანო მეძმარიაშვილი. სვანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავთანდილ თომაშვილი. პეიზაჟი.

საბჭოთა ხელოვნება



ელგუჯა ამაშუკელი. ცირკში.



დალი ვარამაშვილი. შეხვედრა

# საგაზაფხულო გამოფენიდან

მიმდინარე წელს ქართველი მხატვრების საგაზაფხულო გამოფენა „მხატვრის კვირეულის" დღეებში მოეწყო. იგი ტრადიციულად ტარდება რესპუბლიკაში.

საქართველოს სურათების გალერეაში გამოფენილი ფერწერული, გრაფიკული, თეატრალურ-დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების საინტერესო ნამუშევრების ძირითადი თემატიკა თანამედროვეობას ასახავს. მხატვრები უმღერიან საბჭოთა საქართველოს, მისი აყვავებისა და წინსვლისათვის მკლავმოუღლელ ადამიანებს.

გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომისა და ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები

გთავაზობთ რამდენიმე ნამუშევარს ამ გამოფენიდან.

გიორგი წერეთელი. ველოსიპედისტები.





კიმი ტაბატაძე. პაპა და შვილიშვილი



მქსოველი ლეილა კვარჭაია.

# ქართული ხალიჩა

**ალ. ჩიგოგიძე**

ფოტო თარხან არჩვაძისა

ეს ამბავი 1967 წელს მოხდა.

ალჟირში გამართულ საერთაშორისო ბაზრობაზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

ვრცელ დარბაზებში გამოფენილ უამრავ ექსპონატთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან გაგზავნილ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმთა ნიმუშებიც იყო დემონსტრირებული.

ხალიჩები მართლაც იტაცებდა თვალს. ხელმადლიან ოსტატებს რაღაც ჯადოსნური სული შთაებერათ შალის ძაფისათვის. რქანაყარი ვაზის ლერწები, დახვეწილი ქართული ჩუქურთმები და ნატიფი ორნამენტები გადახლართულიყვნენ ერთმანეთში.

საქართველო მზისა და ფერების ქვეყანაა. ეს მზე და ცისარტყელას ნაზი ფერები აღზევებულიყვნენ და ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულ ხალიჩებზე დაღვრილიყვნენ.

ალჟირის საერთაშორისო გამოფენაზე ქართულ ხალიჩას საერთო მოწონება ხვდა წილად. ჩვენებური ხალიჩები გამოფენის გახსნის დღესვე გაიყიდა. ცხაკაიას ხალიჩების კომბინატი საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმმა სიგელით დააჯილდოვა.

ეს არ იყო შემთხვევითი გამარჯვება. ქართულმა ხალიჩამ შემდგომშიც მრავალჯერ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმია მსოფლიოში.

მივმართოთ ფაქტებს,

1968 წელს იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე ქართულ ხალიჩას კვლავ დიდი მოწონება ხვდა წილად. ქართულმა ხალიჩამ თავი ისახელა 1970 წელს პარიზის სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე, 1971 წელს შვეიცარიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, 1972 წელს ქაიროს საერთაშორისო გამოფენაზე, 1973 წელს დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე.

ქართულ ხალიჩას წინ კვლავ ახალი გამარჯვებები ელის.

* * *

ცხაკაიას მახლობლად, იმ მიდამოებში, სადაც წინათ ლელიანსა და მწვანედ აშმორებულ ჭაობებში ბაყაყების გაბმული ყიყინი გაისმოდა, 1932 წელს მშენებლებმა საქართველოში ხალიჩების პირველი ფაბრიკის საძირკველს დაჰკრეს ბარი.

ახლად აგებულ ხალიჩების ფაბრიკაში ერთმანეთს უნდა შერწყმოდა მეგრელ მეთექეთა და კახელ მენაბდეთა ოსტატობა, ქართლელ მეფარდაგეთა და ხევსურ მეხალიჩეთა გამოცდილება... საჭირო იყო ძველს ახალი, თანამედროვე ფორმები, ფერთა შეხამება, წარმოების მოწინავე ტექნოლოგია მისადაგებოდა და ისე დაბადებულიყო ახალი ქართული ხალიჩა.

* * *

1971 წელს, საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს საზეიმო დღეებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თბილისში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა დაათვალიერა.

ლეონიდ ილიას ძე და მისი თანმხლები პირები ქართული ხალიჩის ნიმუშებთან შეჩერდნენ.

„ძალიან კარგია, რომ ვისწავლეთ ასეთი რთული და ლამაზი ხალიჩების ქსოვა მექანიზებული ხერხით“, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ მაღალმა შეფასებამ ცხაკაიელი მეხალიჩეები ახალი შემოქმედებითი ენერგიით აღავსო. ფაბრიკაში 1200 ადამიანი მუშაობს. თითოეულმა მათგანმა მტკიცედ გადაწყვიტა მეტი მონდომებითა და თავდადებით ეშრომა და წარმატებით დაეგვირგვინებინა მეცხრე ხუთწლედი.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც კომუნისტური შრომის ვახტზე დადგა, ლეილა კვარჭაია იყო.

ნოვატორი მქსოველი საამქროში გავიცანით. საუბრიდან შევიტყვეთ, რომ ლეილას ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში თურმე 20 ათასი კვადრატული მეტრი ხალიჩა უნდა მოექსოვა, ფაქტიურად კი 28 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ხალიჩა მოქსოვა.

— მიღწეულით არ ვკმაყოფილდები, — გვეუბნება ლეილა, — წლევანდელ განმსაზღვრელ წელს გადაწყვეტილი მაქვს მთლიანად შევასრულო პირადი ხუთწლიანი გეგმა.

* * *

ლეილა ერთადერთი როდია. ნოვატორ მქსოველს ტოლს არ უდებენ: მეფთილეები — ჟუჟუნა ადანაია და ლამზირა სიჭინავა, მქსელავები — ნანული მიქაია და ლია ბარამიძე, მქსოველები — არმინდა სიჭინავა, ლენტუშა ჟვანია, ნათელა ბერიძე, მრთველები — ციალა კორშია და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯულიეტა მიმინოშვილი, ლენინის ორდენის კავალერი — ქვეოსტატი ვახტანგ ხუხუა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნოდარ ჩიქობავა...

ისინი ბევრნი არიან, სწორედ მათი კოლექტივის თავდადებულმა შრომამ განაპირობა, რომ ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში შრომისნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებული 43,2 პროცენტის ნაცვლად 54,5 პროცენტით გაიზარდა.

* * *

ქართულ ხალიჩას უკვე კარგა ხანია რაც ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა, მაგრამ თავდადებული შრომა და შემოქმედებითი ძიება კვლავ გრძელდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მქსოველი ნათელა ბერიძე.



...ართავი საამქროს მოწინავე მრთველები.

# უცხოური მოთხრობა



# ქურდი

ბაბორ გოდა

ღამის სამი საათი იქნებოდა. მესამე სართულზე ლიფტი გაჩერდა, კარი გაიღო და მწერალი დობაკი გამოვიდა. დერეფანს მთვარის შუქი ანათებდა. დობაკმა თავის ბინასთან უცნობი მამაკაცი შენიშნა, რომელიც კარის გაღებას ცდილობდა.

„ნეტავ რა უნდა, რაღა მაინცდამაინც ჩემს კარებს აღებს?"

დობაკი შიშმა შეიპყრო. მაინც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ქურდს ბერეტი ეხურა, კარის წინ იდგა და ხელში გასაღები ეჭირა. მწერალი და ქურდი ერთ წუთს შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ორივეს შიშისა და დაბნეულობის გრძნობა დაუფლებოდა. მთვარის შუქზე დობაკმა გაარჩია, რომ ახალგაზრდას ცისფერი თვალები და სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა. ვინ იცის, დობაკი შეშინებული რომ არ ყოფილიყო, იქნებ უფრო თავაზიანად ელაპარაკნა მასთან, მაგრამ ეშინოდა და ხმამაღლა დაუყვირა, აქ რას აკეთებო?!

— ნუ ყვირით, ბატონო, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დამღუპავთ, ნუ გამოუჩენთ კარიერას! მე თვითონ წავალ, გაგეცლებით, ღამეს ხანავე უუთში გავათევ, სადაც უკვე სამი საათი ვიჯექი და ველოდი, როდის დაიძინებდნენ მეზობლები.

ახალგაზრდა ისე აღელვებული ლაპარაკობდა, რომ დობაკს შეეცოდა.

— არა, რატომ, ხანავე უუთში რა გინდათ? წამოდით ჩემთან!

— პოლიციას არ გამოუძახებთ?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

დობაკი მწერალი იყო და მწერლებს კი პოლიციისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე ქურდებისა.

დობაკმა კარი გააღო, სინათლე აანთო და ახალგაზრდა თავაზიანად შეიპატიჟა ოთახში.

— თუ არ ვცდები, თქვენ, მგონი, ქურდი ხართ?

ახალგაზრდამ ორი ნაბიჯით უკან დაიწია. მის შეშფოთებულ სახეზე დობაკმა ამოიკითხა:

„რას ბრძანებთ, ბატონო, მე მხოლოდ დამწყები ვარ. ქურდად რომ ჩაგთვალონ, ამისათვის საკმაო დამსახურება და სახელოვანი წარსული უნდა გქონდეს".

ქურდმა თვალები ძირს დახარა და ჩუმი ხმით დაიწყო:

— მე პაპაჩემისა და მამაჩემის საქმეს ვაგრძელებ. პაპაჩემს ცალთვალას ეძახდნენ, მამაჩემი კი ცნობილი პეპი კადარკა გახლდათ. ალბათ, წაიკითხავდით გაზეთებში, მათზე ძალიან ბევრსა წერდნენ. ერთხელ მამაჩემს ექვსი კვირა ეძებდნენ მთელს უნგრეთში და ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ მის დაჭერაზე დაწესებული ფულადი ჯილდო თვითონ მამამ მიიღო. ეჰ, მაშინ სხვა დრო იყო! ძვირფასი ნივთებით სავსე კარადები... ოქრო-ვერცხლი, განძეულობა!.. დიდი სასპარეზო გვქონდა, ვსწავლობდით ათასგვარ ხერხს, ვეუფლებოდით სხვადასხვა სპეციალობას...

— დაბრძანდით, გეთაყვა, აი, იმ სავარძელში, — შესთავაზა დობაკმა სტუმარს. — სიგარას ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ! ჩემს ასაკში პაპაჩემმა ორჯერ მოასწრო ბანკის გატეხა, მამაჩემს კი, ოცდაორი წლისას, სხვადასხვა ბინიდან უკვე სამასი ნაქურდალი ხალიჩა ჰქონდა მოპარული. ჩემი მამიკო მხოლოდ დღისით მუშაობდა. მისი აზრით, წესიერი ადამიანები დღისით მუშაობენ, ღამე კი სძინავთ. მე ვარცხვენ მას. კიდევ კარგი, რომ ცოცხალი აღარ არის და ყოველივე ამას ვერ ხედავს.

— რას ბრძანებთ! — გაამხნევა დობაკმა.

— ცუდი დრო დაგვიდგა, ბატონო, ცუდი... სიკვდილის წინ მამაჩემმა მითხრა: ძალიან შეიცვალა ქვეყანა, შვილო, არცთუ ისე საიმედო მომავალი გელის. სულ სხვა იყო ჩემს ახალგაზრდობაში, მაშინ ბინები სავსე იყო, რას არ ნახავდი შიგ... საკეტებსაც იოლად ვაღებდით. ახლა ბინებში ხეირიანს ვერაფერს ნახავ, კარებს კი მაგრად კეტავენ. ამას ეძახიან პროგრესს?!

ორივე ჩაფიქრდა.

— მართალია! — დაარღვია სიჩუმე დობაკმა, — პეპი კადარკა! თქვენს პროფესიაში ეს სახელი იგივეა, რაც გოეთე მწერლობაში. მამათქვენი კლასიკოსი იყო.

— დიახ, — დაეთანხმა დამწყები ქურდი, — ისე, ჩვენ, ახალგაზრდებს ძალიან მკაცრად არ უნდა განგვიკითხოთ. აბა, წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს ადგილზე, ბატონო დობაკ. თქვენ არც კი იცით, რამდენი მუშაობა გვიხდება. ჯერ უნდა შეადგინო გეგმა, გაეცნო ადგილმდებარეობას, გაითვალისწინო ყოველი წვრილმანი, უნდა დაადგინო რამდენი კაცი ცხოვრობს ბინაში, როდის გადიან სახლიდან, შემდეგ სადამოთი უნდა შეიპარო სახლში და იქამდე დაიმალო, ვიდრე ბინაში შესვლის საშუალება მოგეცემა. ამისათვის კი საჭიროა წინასწარი მომზადება, სპეციალური ცოდნა. ახლა კარებს უბრალოდ კი არ კეტავენ, ათასგვარი ამერიკული საკეტით, ჯაჭვებითა და რკინის ურდულებით ამაგრებენ. საწყალი ქურდი იძულებულია უამრავი ხელსაწყო გამოიყენოს. ყოველთვის, როცა საქმეზე მიდიხარ, ისე ღელავ, როგორც მსახიობი სცენაზე გასვლის წინ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ვერავინ შეგამჩნიათ, ისე შეხვედით ოთახში, მაგრამ აღებთ კარადას და ხედავთ, რომ აქ უკვე ვიღაც ყოფილა თქვენამდე. აბა დაფიქრდით, ბატონო დობაკ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ქურდი, როცა ნახავს აღარაფერია წასაღები?!

— ნუ ღელავთ, ჩემო კარგო, ყოველ პროფესიას თავისი სიძნელე გააჩნია, იმედს ნუ დაკარგავთ! — გაამხნევა დობაკმა.

— რისი იმედი უნდა მქონდეს? ჩვენ, ქურდებს არავინ არ გვიცავს, იმათ კი...

— ვის იმათ? — ჰკითხა დობაკმა.

— სახელმწიფო მძარცველებზე მოგახსენებთ, უნგრეთის სამეფო სასამართლოს აღმასრულებლებზე. ისინი არავის ინდობენ, ყოველთვის გვასწრებენ ჩვენ. აი, თუნდაც თქვენთან... მე ჯერ არც კი მინახავს თქვენი კარადები, მაგრამ საკმარისია შევხედო კედლებს, სადაც ჯერ კიდევ ემჩნევა სურათების კვალი და იატაკს, რომელზეც აღარ არის ხალიჩა... აქედან ყველაფერი წაუღიათ. ვხედავ, რომ თქვენ წესიერი ადამიანი ხართ და დამეხმარებოდით, რომ შეგეძლოთ, მაგრამ თქვენ თვითონაც უკვე აღარაფერი გაგაჩნიათ.

— მართალია, აღარაფერი! — დაეთანხმა დობაკი, — ყოველთვის ქურდებისა მეშინოდა, მაგრამ ერთი კვირის წინ ჩემი სახლის წინ გაჩერდა მანქანა, ნივთების წასაღებად სამნი მოვიდნენ და როგორც ხედავთ, აღარაფერი დამიტოვეს, საწერი მაგიდაც კი, თუმცა კანონით არ ჰქონდათ იმ საგნების წაღების უფლება, რომელიც ადამიანს სამუშაოდ სჭირდება. მე აღარაფერი გამაჩნია, ჩემო კარგო, თქვენი გამასპინძლებაც კი არ შემიძლია. ძეხვი მქონდა, მაგრამ ისიც სასამართლოს აღმასრულებელს მივეცი, რომ სავარძელი დაეტოვებინა.

— ეს პირდაპირ საშინელებაა, არ მინდა თქვენ დაგამციროთ, მაგრამ... — ახალგაზრდამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ფული ამოიღო და მწერალს თითქმის ძალით ჩაუდო.

— არა, არა! — შეწუხდა დობაკი.

— გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით, ბატონო დობაკ!

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დობაკმა ღამის სტუმარი კარებამდე მიაცილა.

უნგრულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ.



# ქოლგა

ჰანს აპრილი

ქოლგა მეტად პრაქტიკულია. როგორც გნებავს ისე მოიხმარ. შეგიძლია მთელი დღე იღლიაში ამოჩრილი ატარო ან სახლში დატოვო, წვიმისგან თავი დაიფარო ან ხელის ჯოხად გამოიყენო, ვინმეს დაბადების დღეზე აჩუქო ან საკუთარ თავს მიართვა დღეობაზე, და ბოლოს შეიძლება დაკარგო, ან... შეიძლება იპოვნო კიდეც.

კარლ ბიდერმანმა კაფედან გამოსვლისას სხვისი ქოლგა აიღო, მაგრამ სხვისი რომ იყო, არ იცოდა. მან შეცდომით აიღო სხვისი ქოლგა, რადგანაც ქუჩაში წვიმდა და იფიქრა, კაფეში საკუთარი ქოლგით მოვედიო.

კარლი სხვისი ქოლგით გასასვლელისაკენ გაემართა. უცებ ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა.

— უკაცრავად!

— რა მოხდა? — ჰკითხა კარლმა.

— თქვენ ჩემი ქოლგა აიღეთ!

— თქვენი ქოლგა?

— დიახ, ახლავე პოლიციას დავუძახებ!

კარლ ბიდერმანმა შეხედა უცხო კაცს, შეხედა ქოლგას და დაინახა, ქოლგა ნამდვილად სხვისი იყო. კარლმა უხერხულად იფხანა თავი.

— მაპატიეთ, — ჩაიბურტყუნა მან, — შემეშალა, განზრახ არ ამიღია... ინებეთ თქვენი ქოლგა.

უცნობმა, რამაკვირვებულია, არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა.

— ჯარგი, — თქვა მან, — კიდევ კარგი, რომ ქოლგა დავიბრუნე.

ქუჩაში კარლ ბიდერმანს სამი მეგობარი შეხვდა. კარლმა უამბო მათ თავისი სამწუხარო თავგადასავალი. მეგობრებმა გაიცინეს და ჩაფიქრდნენ. ისინი თეატრში მიდიოდნენ და სამივეს ჰქონდათ ქოლგები. წვიმამ გადაიღო, თანაც თეატრში ქოლგის შეტანაზე საფასური უნდა გადაეხადათ.

— ძვირფასო კარლ, იქნებ ჩვენი ქოლგები შინ წაიღო, ძალიან დაგვავალებ! — სთხოვეს მათ.

კარლი დაეთანხმა. სამი ქოლგით ხელში ტრამვაიში ავიდა, დაჯდა. უცებად მის პირდაპირ ჩამოჯდა ვიღაც კაცი. კარლმა შეხედა და უნებურად გაწითლდა. ეს იყო ის კაცი, ვისი ქოლგაც კარლმა შემთხვევით აიღო კაფეში.

კაცმა ჩაიცინა, სამ ქოლგაზე მიუთითა და თქვა: როგორც ვხედავ, ეს საქმიანობა თქვენთვის სარფიანი ყოფილა.

გერმანულიდან თარგმნა რ. ხვანიშვილმა.

# უცხოური მოთხრობა



სურათზე: აი, ასე გამოიყურება თბილისის სპორტის სასახლე მინიფეხბურთის დღეებში. ტრიბუნებზე ტევა არ არის, სარბიელზე კი გაცხარებული ასპარეზობაა გაჩაღებული.

# ბურთი და მოედანი

რ. ქორიძე

სპორტის უტყუარ ბარომეტრს მაყურებელი წარმოადგენს. ეს ძველი და ჭეშმარიტი ამბავია. თუ სანახაობა საინტერესოა, სპორტსმენები მაღალ კლასს აჩვენებენ და რეკორდებს ამყარებენ, დარწმუნებული იყავით, ტრიბუნები არასოდეს იქნება ცარიელი.

და პირიქით, როცა სარბიელზე ნამდვილი, ღირსეული ასპარეზობის ნაცვლად უბადრუკი ჯახირია, როცა სპორტსმენი დაფრინავს კი არა, ძლივს დაბობღავს, ნურავის მოსთხოვთ და დაავალდებულებთ უმწეო სანახაობის ცქერას.

მით უმეტეს, როცა საქმე ფეხბურთს ეხება. აქ გულშემატკივარი არ მოტყუვდება. ის გამოცდილია და კარგად იცის, სად ღირს წასვლა და სად არა. ამიტომაა, რომ ბოლო ხანებში სულ უფრო იშვიათად გაიგონებთ დიდ სტადიონებთან „კეთილშობილი მათხოვრების" ძველისძველ ვედრებას — ზედმეტი ბილეთი ხომ არ გაქვთო. ბილეთები მეტწილად თავზე საყრელია ხოლმე სალაროებში.

მაგრამ, აბა, სცადეთ და თბილისის სპორტის სასახლეში მოხვდით, როცა იქ ნორჩთა საქალაქო ან რესპუბლიკური გათამაშება მიმდინარეობს მინიფეხბურთში. ნურას უკაცრავად. სალაროსთანაც საკმაო ხანს მოგიხდებათ დგომა, სანამ ბილეთს შეიძენთ და მერე ფეხსაც უნდა აუჩქაროთ ტრიბუნებისკენ, თორემ ადგილის დაკავება ბოლო რიგში მოგიწევთ, კარს უკან.

არადა, მართლა საინტერესო და კარგი სანახაობაა ეს მინიფეხბურთი. ჯერ შეგიპყრობთ და გაგიტაცებთ დარბაზში გამეფებული მღელვარე განწყობილება. მაყურებელთა შორის ყოველთვის არიან ნორჩ მოასპარეზეთა ტოლები, მეგობრები, ახლობლები. ნერვიულობენ მშობლები, რომლებიც ვერ მალავენ თავიანთ ემოციებს: ხუმრობაა, ბავშვი ხელჩაკიდებული მოიყვანო აქ, მერე კი ფიცხელ, დაუნდობელ ბრძოლაში გაგზავნო იგი!

ეს პატარა ბიჭუნები ისე ნიავივით დაქრიან სარბიელზე, თვალს ვერ მოასწრებთ, ისეთ ფინტებს ატრიალებენ, მრავლის მნახველი, ძველისძველი გულშემატკივრები ტრიბუნებზე სიამით იფშვნეტენ ხელებს და ოხვრით იხსენებენ არცთუ შორეულ წარსულს.

კაცმა რომ თქვას, მინიფეხბურთი სულაც არაა უცხო ხილი ჩვენში. ყველას უთამაშია სკოლაში ან საკუთარ ეზოში ბურთი და სრულიადაც არ იყო სავალდებულო 11-11 ფეხბურთელი კლასიკური „დუბლ-ვეს" ან სხვა უფრო თანამედროვე ტაქტიკის კანონებით განლაგებულიყო მინდორზე. შეიკრიბა რვა ან ათი ბავშვი, გაიყვნენ ორად და მინიფეხბურთიც მზადაა. იდარდოს იმან, ვისაც ლითონის ბადეები არა აქვს ფანჯრებზე. მაგრამ ახლა ამ შესანიშნავ თამაშს ის ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიეცა, ისეთ მასშტაბებში გადაიზარდა, რომელზეც უწინ ვერც ვიოცნებებდით. ხუმრობა საქმეა, ვეება სპორტის სასახლე და ათეული ათასი მაყურებელი, პრესა და ტელევიზია, აპლოდისმენტები და ჯილდოები?!

რას ემსახურება არსებითად მინიფეხბურთი? რა სარგებლობა მოაქვს?

დიდი, ძალზე დიდი სარგებლობა! ჯერ ერთი, მას ვერაფერი შეედრება მასობრიობით, ხელმისაწვდომობით, სიადვილით. ყველგან გამოჩნდება საიმედო ადგილი, რომ პატარებმა ბურთის თამაში შეძლონ, ზამთარში კი, როცა გარეთ უამინდობაა, დარბაზებში ბავშვებისთვის უკეთეს გასართობს და ორგანიზმის გასაკაჟებელს ვერაფერს მოძებნით.

მინიფეხბურთი ადვილად შეიძლება დაინერგოს ყველგან, სადაც საამისო მცირე შესაძლებლობა მაინც არის. იგი დააინტერესებს ნორჩ ფეხბურთელთა დიდ მასებს, ინტერესს გაუღვივებს თამაშისადმი, ჩააბამს სპორტში.

მინიფეხბურთი იმ სახით, რომლითაც იგი თბილისის სპორტის სასახლეშია წარმოდგენილი, ნორჩი ტალანტების დიდი დათვალიერების სარბიელს წარმოადგენს, მატჩი მატჩს მოსდევს, თამაში—თამაშს და სულ ახალ-ახალი ტალანტები აჩვენებენ მაყურებლებს თავიანთ ნიჭსა და შესაძლებლობებს, მონდომებასა და ენერგიას, სისწრაფესა და აზარტს. აქ შეიძლება შეირჩეს ის ნაკადი, რომელიც შემდეგში უნდა ჩაერთოს ჩვენი ოსტატთა გუნდების რიგებში. ასეთები კი უკვე გამოჩნდნენ: თბილისელები პატარა მიშიკო მესხი (დიდი მიხეილ მესხის შვილი) და ვაჟა არჩაძია, იაგო ჟორჟიკაშვილი და გია ინასარიძე.

სანახაობრივადაც ძალზე საინტერესოა მინიფეხბურთი. თამაში კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, სახიფათო მომენტები ზედიზედ მოსდევს ერთმანეთს, მაყურებლებით სავსე დარბაზი თვალს ვერ აცილებს წარმტაც თამაშს.

მინიფეხბურთი სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას პოულობს რესპუბლიკაში, მას დიდი ნაბიჯებით მიჰყავს ნორჩი ფეხბურთელები ოსტატობის მწვერვალებისაკენ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უსიტყვოდ ნახატი ა. კანდელაკისა.

## კაკალ გულში



## ნაიძ-ნაიძი



### ახალი რეკორდი

ამერიკელმა დუგ ნასიფმა და ჯიმ კუროლმა ამას წინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს... ჩოგბურთის თამაშში. ისინი 75 საათის განმავლობაში ჩოგანს შეუსვენებლად ურტყამდნენ ბურთს.

მსოფლიოს ძველი რეკორდი ჩოგბურთის თამაშში 73 საათს შეადგენდა.



### ორიგინალური გამოფენა

როგორც დასავლეთგერმანული ყოველკვირეული ჟურნალი „ილუსტრიტე ვოჰენცაიტუნგი“ იუწყება, პარიზის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული ნახატები კედლებზე კი არ არის ჩამოკიდებული, პირდაპირ ჭერზეა გაკრული.

მნახველები სურათებს დარბაზში მოხერხებულად გაშლილ დივნებზე წამოწოლილები ათვალიერებენ.

ვისაც ჩაეძინება და ხვრინვას ამოუშვებს, საგანგებოდ გამოყოფილ მორიგეებს იგი იქვე, საგამოფენო დარბაზის გვერდით მოწყობილ საძინებელ ოთახში გაჰყავთ.

გამოფენას უსახლკარო ადამიანები მიაწყდნენ.

### გულჩვილი ვექილი

ცნობილი ამერიკელი მომღერლის დინა მარტინის ოცდაოთხი წლის ვაჟიშვილი ცეცხლმსროლელი იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის დააპატიმრეს.

ლოს-ანჟელოსის პოლიციამ მარტინის ბინის გაჩხრეკისას სხვენზე აღმოაჩინა საგანგებოდ დამალული შვიდი ტყვიამფრქვევი და ერთი ტანკსაწინააღმდეგო თოფი.

— ვაპატიოთ! — განაცხადა სასამართლოში გულაჩუყებულმა ვექილმა, — ყველას თავისი ჰობი აქვს. ბრალდებული, როგორც დავადგინე, ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა ცეცხლმსროლელი იარაღის შეგროვებით.



ნაიძ-ნაიძი



— ხომ იცი, კაცო, ჩემი სახსრების ამბავი, წყალტუბოში უნდა გამგზავნო.

— შენც ხომ იცი, ქალო, ჩემი სახსრების ამბავი...

ნახატები დიმიტრი ერისთავისა.

— რა სიახლეა თქვენს ლაბორატორიაში?

— ჩვენ გვინდა გამოვიყვანოთ ისეთ სითბოგამძლე კაკლისა და ბროწეულის ჯიშები, რომლებიც საქართველოში იხარებენ.



— თქვენ საუკეთესო მხედველობა გაქვთ.

— რა ვიცი, ბატონო, დირექტორმა მითხრა, თეთრსა და შავს ვერ არჩევო.

# კროსვორდი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 7. ავადმყოფობა. 8. კონცენტრირებული ხსნარი. 10. დროშა ანუ... 11. ქალაქი ამერიკაში. 12. მეტყველების შემცვლელი სხეულის მოძრაობა. 13. პროფესია. 15. მცენარე. 17. ლევან გოთუას რომანი. 18. ქვეყანა ევროპაში. 19. ტრიგონომეტრიული ტერმინი. 23. მაღალი ტემპერატურა. 24. მცენარე. 26. ხილი. 27. ქვეყანა აზიაში. 28. ხელსაწყო.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ხუსტი ქარი. 2. სათამაშო ქაღალდი. 3. არხი ამერიკაში. 4. წარმოსახვა. 5. ნახევარკუნძული ევროპაში. 6. ყაჩაღი ანუ... 9. ფონეტიკური მოვლენა. 14. სპორტული თამაშის ხანგრძლივობის ნაწილი. 16. ბალჩეული. 19. ქალაქი. 20. ცეცხლის დასანთები საშუალება. 21. ცხოველი. 22. უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო რომში. 25. ზღვა. 26. თვე.

ჟურნალ „დროშის" № 5-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხები:

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 4. რქაწითელი. 7. გვირილა. 8. მოსკოვი. 9. ავსტრალია. 12. მილიარდი. 14. იორდანია. 16. მძიმე. 18. რომი. 19. ალლო. 20. ბინდი. 21. ქარგა. 22. დაფა. 24. სოლო. 25. ალალი. 27. ეტოლოგია. 29. ბიზანტია. 30. მიკროფონი. 31. იტალია. 32. „ევრიკა". 33. სიმონიანი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. აქილევსი. 2. მილიგრამი. 3. ალიოხინი. 5. ლიბერალი. 6. ჰოლანდია. 10. „მითრიდატე". 11. ფილოსოფია. 13. დებიუტი. 15. ორაგული. 16. მედეა. 17. ეკალი. 23. აბონენტი. 24. სპარტაკი. 26. აკროლეინი. 28. აბისინია. 29 ბანოვანი.

## ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი



### იტალიური რეცეპტით

დასავლეთ ევროპაში უკანასკნელ წლებში დიდი მოწონებით სარგებლობდა ფრანგული სამარკო ღვინო, რომელსაც კუნძულ კორსიკაზე აყენებენ.

ამას წინათ შემთხვევით გამოირკვა, რომ ძვირად ღირებული „კორსიკული ღვინო" მხოლოდ და მხოლოდ მოტკბო წყლისა და რაღაც საგანგებო ქიმიური შენაერთის ნაზავი ყოფილა.

კორსიკის ორმა ყველაზე მსხვილმა ფირმამ ღვინის ასეთი ფალსიფიკაციით თურმე 60 მილიონი ფრანკი მოგება მიიღო.

მეღვინეები ირწმუნებიან, რომ ერზაც-ღვინის დამზადების რეცეპტი მათ ფარულად იყიდეს იტალიაში.

### შეისწავლეთ უცხო ენა

დანიელი სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უცხო ენა კარგად შეიძლება შევისწავლოთ... მატარებელში.

სპეციალისტების კატეგორიულმა მოთხოვნამ თავისი ნაყოფი გამოიღო: ელექტრომატარებელში, რომელიც ჰელსინგერიდან გადის და სამუშაო დღის დაწყებამდე ჩადის კოპენჰაგენში (მგზავრობა ორიოდე საათი გრძელდება), გადაწყდა გაიხსნას უცხო ენის შემსწავლელი სამი სპეციალური კაბინეტი.

ამ კაბინეტებში მგზავრებს შეუძლიათ ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე სახელდახელოდ შეისწავლონ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი პოპულარული სიტყვები და მარტივი წინადადებები.



### ლოცვა ჯაზის თანხლებით

ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე დღეში გაიყიდა ნახევარ მილიონზე მეტი გრამფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილი იყო ავსტრალიელი ჯენეტ მიდის ლოცვები.

ჯენეტ მიდის ასეთი სენსაციური პოპულარობის საიდუმლო იმაშია, რომ იგი მონაზონია და მამაზეციერისადმი მიძღვნილ ლოცვებს თანამედროვე მოდური საესტრადო ორკესტრის თანხლებით ასრულებს.

ამერიკის ერთ-ერთმა სატელევიზიო კომპანიამ სარფიანი კონტრაქტი დაუდო „ღვთის მონას" — მონაზონ ჯენეტ მიდის.

იგი, გიტარით ხელში, მალე წარდგება ტელემაყურებლების წინაშე.

ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ექსპერტები შემთხვევის ადგილზე.

1972 წლის 20 თებერვალს ქალაქ ქუთაისში უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ტაქსომოტორის მძღოლი ვ. ე-ძე.

შემთხვევის ადგილზე მისულმა საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენლებმა გვამის მახლობლად იპოვეს „ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის მასრა. პროზექტურაში გადასვენების შემდეგ გვამიდან რამდენიმე დეფორმირებული ტყვია ამოიღეს.

ეს იყო და ეს. დამნაშავე უკვალოდ გაქრა. მიღებული ოპერატიული ზომების მიუხედავად, მის ახავალ-დახავალს ვეღარ მიაკვლიეს.

გავიდა ხანი.

ერთხელ, ქალაქ სამტრედიაში რამდენიმე ბოროტმოქმედი შეეცადა ცეცხლსასროლი იარაღით მოეკლა მოქალაქე შ. ფ-ძე. შემთხვევის ადგილის გულმოდგინე დათვალიერებისას აქაც, ისევე როგორც ქუთაისში, „ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის მასრა იპოვეს.

ჰქონდა თუ არა ერთმანეთთან რაიმე კავშირი ამ ხასრებს? იყო თუ არა ეს მასრები ერთი და იგივე იარაღიდან გასროლილი? აი, შეკითხვები, რომლებზეც ზუსტი პასუხის გაცემას შეეძლო გარკვეული ნათელი შეეტანა ჩახლართულ საქმეში.

ძიებაში კრიმინალისტები ჩაერივნენ. სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ გამოსაკვლევი მასრები ერთი და იგივე იარაღიდან იყო გასროლილი.

ძიება წინ დაიძრა. ოპერატიულმა მუშაკებმა მალე ეჭვი აიღეს და დააკავეს ვინმე ი. გ-უა, რომელსაც ბინის გაჩხრეკის დროს უპოვეს „ტტ"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

დაპატიმრებულმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. იგი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ვ. ე-ძის მკვლელობასთან და არც შ. ფ-ძის მკვლელობის მცდელობასთან.

ჭეშმარიტება ექსპერტებს უნდა დაედგინათ. ისევ აქ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უნდა გადაწყვეტილიყო ქუთაისში და სამტრედიაში დანაშაულის შემთხვევის ადგილებზე ნაპოვნი მასრები ი. გ-უას ბინაში აღმოჩენილი იარაღიდან იყო დაცლილი თუ არა.

დაიწყო გულმოდგინე კვლევა. ლაბორატორიის უფროსი ოთარ ელენტი, კრიმინალისტური გამოკვლევის განყოფილების უფროსი ოთარ ყაველაშვილი, ბალისტიკური ლაბორატორიის ექსპერტი ომარ ალავიძე ასჯერ და ათასჯერ ზომავდნენ და აანალიზებდნენ თითოეულ დეტალს, ჩვეული გულისყურით იკვლევდნენ თითოეულ უმნიშვნელო წვრილმანს.

შეცდომის დაშვება შეუძლებელი იყო! ექსპერტიზის დასკვნა მეცნიერულად დასაბუთებული, ყოველმხრივ ამომწურავი და ზედმიწევნით ზუსტი უნდა ყოფილიყო.

კრიმინალისტებმა რამდენიმე ექსპერიმენტული სროლა ჩაატარეს. მასრების ზედაპირებისა და ღრმულების შესწავლით, მათი ყოველმხრივი გაანალიზებით, მიკროსკოპიული გამოკვლევებითა და ფოტოსურათების შეჯერებით სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ წარმოდგენილი მასრები ეჭვმიტანილის ბინაში აღმოჩენილი იარაღიდან იყო გასროლილი.

ჭეშმარიტება დადგინდა. ბურუსს ნათელი მოეფინა. სიტყვა ახლა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს ეკუთვნოდათ.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი კონკრეტული მაგალითი მოვიყვანეთ იმ დიდი, მძიმე და მრავალმხრივი მუშაობისა, რომელსაც რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია ეწევა.

ბალისტიკური კვლევის გარდა ლაბორატორია აწარმოებს სხვადასხვა სახის კრიმინალისტურ და ავტოტექნიკურ გამოკვლევებს, ადგენს ხელმოწერებისა და ხელნაწერების გრაფიკულ სიზუსტეს, ახდენს შტამპების, საბეჭდი მანქანებისა და, საერთოდ, ტექნიკური საბუთების გაანალიზებას, ამოწმებს ტრასოლოგიას, ფოტოსურათის საშუალებით ადგენს პიროვნებას...

თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევები და პირველხარისხოვანი აპარატურა ჭეშმარიტების დადგენის სამსახურში დგას.

ვერც ერთი მკვლელი, ანონიმური წერილის ზნედაცემული ავტორი, ყალბისმქნელი და ათასგვარი ჯურის შენიღბული დამნაშავე ვერ გადაურჩება მართლმსაჯულებას. დანაშაული დღის სინათლეზე გამომზეურდება! ჭეშმარიტების ამ გამომზეურებაში კი კრიმინალისტებს ერთ-ერთი დიდი და საპატიო წვლილი შეაქვთ.

# დამნაშავე

გარეკანის პირველ გვერდზე: მშენებლები. ცენტრში რუსუდან დიანაშვილი. ფოტო ფ. კრიმხკისა. მეოთხე გვერდზე: ქ. ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში. ფოტო თარხან არჩვაძისა.

გადაეცა ასაწყობად 8/V-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 55.800, შეკვ. 1808, უე 01781. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.







# კვალს ვერ დაფარავს



სურათებზე:

ექსპერტი-კრიმინალისტი თინა ანდრიაშვილი (მარჯვნივ) და კრიმინალისტი მერი ჯოხაძე ადგენენ კალიგრაფიას.

ქიმრეაქტივების ხსნარის დამზადება ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ტყვიის მასრის შემოწმება.

პიროვნების დადგენა პორტრეტით.

ფოტო ანზორ გოგოლაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

